ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba



გვ.4 ზაალ კასრელიშვილი: „რუსეთი სამხედრო ინტერვენციისთვის ემზადება“

21 თებერვლიდან ჩემი პირველი ქრესტომათია

ფასი გაზეთთან ერთად 15 ლარი



ოთხშაბათი, 22 თებერვალი, 2017 №44 (7279) ფასი: 50 თეთრი

# „მამა გიორგი მამალაძე დუმილს დაარღვევს“



გვ.7

„თუ გაუთქმელობის პირობა უნდა იყოს დაცული, მაშინ გაუთქმელობის პირობა ორივე მხრიდან უნდა იყოს დაცული. ერთი მხრიდან კეთდებოდეს განცხადებები და მეორე მხარე ჩუმად იყოს, ეს შეუძლებელია“

## ილია II: „ეს საქმე ეკლესიამ და სახელმწიფომ ერთად უნდა გამოიძიონ“



გვ.2

## „ბავშვთა სამყაროს“ მოვაჭრეთა აქცია შეიძლება პოლიტიკურში გადაიზარდოს გვ.3





## გია ხუხაშვილი: „საპატრიარქოს საქმეებში არავინ უნდა ჩაერიოს“



გვ.3

## ვალერი გელბახიანი: „მქონებელთა კასტის ჩამოყალიბება უკვე რეალობაა“ გვ.5



„თუ არაფერი შეიცვალა, რევოლუციისკენ წავალთ“



გვ.4

## მამუკა არეშიძე: „რუსეთს საქართველოს ვიზალიბერალიზაცია არ ადარდებს“

## აუდიტორია 115: „ქართული ბანკები ყველა ბიზნესზე გავლენის მოპოვებას ცდილობენ“ გვ.6






გვ.6

ავტომობილების ლიზინგით შეძენისას ჯარიმებს ლიზინგით მოსარგებლეები გადაიხდიან



## საფინანსო სექტორის ზედამხედველობის ფუნქცია ეროვნულ ბანკს უბრუნდება გვ.6

ISSN 1987-9385

# ილია II: „ეს საქმე ეკლესიამ და სახელმწიფომ ერთად უნდა გამოიძიონ“

შორენა მარსაგიშვილი

**ციანიდის საქმეზე სასაუბროდ საპატრიარქოში გუშინ, 21 თებერვალს, სინოდის წევრები შეიკრიბნენ, რომელსაც საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილიც დაესწრო. დღის ბოლოს კი საპატრიარქოში მთავარი პროკურორი ირაკლი შოთაძეც მივიდა.**

სინოდის სხდომაზე განცხადება გააკეთა საქართველოს პატრიარქმაც. განცხადების ტექსტს საპატრიარქოს პრესსამსახური ავრცელებს. „ახალი თაობა“ ილია II-ის სიტყვას უცვლელად გთავაზობთ.

— ეს ორი კვირა ძალიან რთული იყო ჩემი ჯანმრთელობის მდგომარეობა და იძულებული ვიყავი, წავსულიყავი გერმანიაში და იქ მემკურნალა. გააკეთეს ძალიან რთული ოპერაცია. აი, ამ დროს შეიქმნა რაღაც უცნაური სიტუაცია, რომელიც ისტორიას არ ახსოვს, საქართველოს ეკლესიის ისტორიას არ ახსოვს ასეთი შემთხვევა და ეს არის არა მარტო ეკლესიის პრობლემა, არამედ ერის პრობლემა და სახელმწიფოს პრობლემა, ამიტომ ჩვენი ხელისუფლება აქტიურად უნდა ჩაერთოს ამაში და, ვფიქრობ, რომ თქვენ გრძნობთ ამის მნიშვნელობას.

უკვე მოდის გამოძახილი უცხოეთიდან, კითხულობენ, რა ხდება საქართველოში. ჩვენ არა გვაქვს გარკვეული პოზიცია, გარკვეული გამოძიება და ამიტომ თქვენ უნდა დაგვეხმაროთ. ერთობლივი გამოძიება უნდა შედგეს — სახელმწიფოსი და ეკლესიისა და ხალხს უნდა მივცეთ პასუხი. ხალხი ღელავს.

ვფიქრობ, რომ ყველაფერი დამშვიდდება და კარგად იქნება, მაგრამ ყოველ მოვლენას თავისი სახელი უნდა დაერქვას და ხალხი უნდა დაკმაყოფილდეს და დამშვიდდეს, — აღნიშნა პატრიარქმა.





* * *

ციანიდის საქმესთან დაკავშირებით პრეზიდენტთან შეხვედრას ითხოვდა ამ საქმის მთავარი მოწმე ირაკლი მამალაძე. მთავარსარდალმა მასთან შეხვედრა არ ისურვა. ამას მითქმამოთქმა მოჰყვა, რის შემდეგაც პრეზიდენტის მხარემ თავი ვალდებულად ჩათვალა, განმარტებები გაეკეთებინა.

პრეზიდენტის პრესსპიკერმა ეკა მიშველაძემ დაადასტურა, რომ მოწმე მამალაძემ ნამდვილად მიმართა პრეზიდენტის ადმინისტრაციას თხოვნით, უსაფრთხოებასთან და დაცულობასთან დაკავშირებით გარკვეული ინფორმაცია მიეღო.

— პრეზიდენტის დავალებით ადმინისტრაციის უფროსმა ისაუბრა მთავარ პროკურორთან, რომელმაც სრული ინფორმაცია მიაწოდა მას მამალაძის შესახებ და განუცხადა, რომ მის უსაფრთხოებას არანაირი საშიშროება არ ემუქრება. მე ეს ინფორმაცია ტელეფონით მივაწოდე ირაკლი მამალაძეს, საკითხი ჩავთვალეთ ამოწურულად, რადგან საფრთხე არ არსებობდა და არანაირი საფუძველი არ გვაქვს, რომ ამ ინფორმაციას არ ვენდოთ, — განაცხადა მედიასთან საუბარში ეკა მიშველაძემ.

გუშინ საპატრიარქოში იმყოფებოდა საქართველოს მთავრობის მეთაური გიორგი კვირიკაშვილიც. ის, პატრიარქის გარდა, სინოდის წევრებსაც ესაუბრა.

საპატრიარქოში იმყოფებოდნენ უფლებადამცველი ნანა კაკაბაძე და ციანიდის საქმის ერთ-ერთი მთავარი მოწმე ირმა ჭკადუაც. გავრცელებული ინფორმაციით, ისინი სასულიერო პირების შეხვედრას დაესწრნენ, სადაც ციანიდის საქმეზე იყო საუბარი.

შეხვედრიდან გამოსულმა ნანა კაკაბაძემ ჟურნალისტებს უთხრა, რომ ამ საქმეზე არსებული ვიდეოჩანაწერი და მტკიცებულებები, პატრიარქის გარდა, სინოდის ყველა წევრს აქვს ნანახი.

— ჩანაწერები ნახა თითქმის ყველა სასულიერო პირმა და ყველანი თანხმდება, რომ გამოძიება დროულად უნდა დასრულდეს. ასევე თანხმდებიან, რომ მამა გიორგი მამალაძე თავდებით არ უნდა გამოვიდეს, რადგან ეს თავად მისთვის იქნება სახიფათო, — აღნიშნა კაკაბაძემ.

მისი თქმით, ამ საკითხზე განსხვავებული პოზიცია მხოლოდ მეუფე პეტრეს აქვს. მან ჯერ კიდევ რამდენიმე დღის წინ ითხოვა დეკანოზის გათავისუფლება და განაცხადა, რომ მზადაა, მას თავდებში დაუდგეს.

ცურტაველი მიტროპოლიტი ვახტანგი ჟურნალისტებთან საუბარში



ამბობს, რომ ის, რაც დღეს ეკლესიაში ხდება, ეკლესიის წინააღმდეგ შეთქმულებაა.

მეუფე ვახტანგმა კომენტარი მამა გიორგი მამალაძის შესახებაც გააკეთა და განაცხადა, რომ მამა გიორგი ჩვეულებრივი, რიგითი სასულიერო პირია, როგორც ყველა.

— ნუ გავხადეთ მამა გიორგი მოწამე. ის არის ჩვეულებრივი, რიგითი სასულიერო პირი, როგორც ყველა. გაირკვევა სიმართლე. ჩვენ ვერ დავადანაშაულებთ, მაგრამ გაირკვევა სიმართლე და ყველაფერი დალაგდება, — განაცხადა მეუფე ვახტანგმა.

* * *

დაკავებული მამა გიორგი მამალაძე ისევ საავადმყოფოში რჩება. რამდენიმე დღის წინ ის ჩაფიძის კლინიკაში მოათავსეს, გუშინ, 21 თებერვალს კი დამატებითი კვლევებისთვის სხვა კლინიკაში გადაიყვანეს.

# ტაიმსი: „უკრაინისა და საქართველოს ნატოსკენ სწრაფვა უნდა შეყოვნდეს“

## ეს ამერიკისთვის დამატებითი ტვირთი იქნება



სტატიაში, რომელიც აშშ-ის ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ ყოველკვირეულ ჟურნალშია გამოქვეყნებული, გაანალიზებულია რუსეთის ფედერაციის საგარეო პოლიტიკური მიზნები და აშშ-ის სავარაუდო ნაბიჯები.

— რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმირ პუტინს სურს, რომ მოსკოვს გავლენის სფეროები ჰქონდეს, ანუ გააკონტროლოს თავის საზღვრებთან მდებარე ქვეყნები. პრეზიდენტს სურს, რომ დასავლეთი პატივისცემით მოეპყრას მის მზადყოფნას — მოსკოვი მიზნის მისაღწევად სამხედრო ძალის გამოყენებაზეც უკან არ დაიხევს, — ნათქვამია პუბლიკაციაში, რომლის ავტორია რიჩარდ ჰაასი, აშშ-ის არასამთავრობო ორგანიზაცია „საგარეო ურთიერთობათა საბჭოს“ ხელმძღვანელი.

საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“ გთავაზობთ ფრაგმენტს მასალიდან:

„პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა მოსკოვს მტკიცედ უნდა მიანიშნოს, რომ ამერიკა რუსეთის აგრესიულ პოლიტიკას წინააღმდეგობას გაუწევს“, — წერს რიჩარდ ჰაასი და აღნიშნავს, რომ ამ მიზნით ვაშინგტონმა კიევს იარაღი უნდა მიაწოდოს. გარდა ამისა, ამერიკამ დამატებითი სამხედრო კონტინგენტი უნდა გაგზავნოს იმ ქვეყნებში, რომლებიც ნატოს წევრები არიან და რუსეთის აგრესიის თავიდან აცილებაში დახმარებას ითხოვენ.

— სანქციები აშშ-ისა და დასავლეთის პოლიტიკის ინსტრუმენტებად უნდა დარჩეს, მაგრამ რუსეთის „დამამშვიდებლად“ ეს მეთოდი ხშირად არ უნდა იქნეს გამოყენებული. სანქციების გამოცხადების მექანიზმი ისეთი უნდა იყოს, რომ მისი გაუქმება-შეცვლა იოლად შეიძლებოდეს, თუ, რასაკვირველია, მოსკოვის პოლიტიკა გაუმჯობესდება, — აღნიშნავს ავტორი.

მისი აზრით, „ამერიკა უფრო მეტად ფოკუსირებული უნდა იყოს რუსეთის საგარეო პოლიტიკაზე და ნაკლებად ჩაერიოს მის საშინაო საქმეებში“. თუ ვაშინგტონი მოსკოვს იმას მიანიშნებს, რომ მას ვლადიმირ პუტინის დამხობა არ სურს, ასეთი მიდგომა რუსეთთან ურთიერთობის დალაგებაში კარგი საშუალება იქნება.

— ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ტრადიციული საგარეო პოლიტიკური თავშეკავება უნდა გამოავლინოს, — ნათქვამია სტატიაში. უკრაინისა და საქართველოს ნატოში გაწევრიანების სწრაფვა უნდა შეყოვნდეს: „არც უკრაინა და არც საქართველო ნატოს მოთხოვნებს არ აკმაყოფილებს. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია: პირველი, რომ მათი ალიანსში შესვლის ინიციატივებისადმი მხარდაჭერა რუსეთის პროვოცირებას მოახდენს, მეორე კი — აშშ-სთვის ეს ისეთი სამხედრო ვალდებულების აღებას ნიშნავს, რომლის რეალიზების ძალა ვაშინგტონს არ ექნება, — ხაზს უსვამს ავტორი.

# სინოდის წევრები და სასულიერო პირები ბრიუსელში წავიდნენ



ეპარქიის მმართველი მღვდელმთავრები სამუშაო ვიზიტის ფარგლებში შეხვდებიან ევროკავშირის ინსტიტუციებისა და ნატოს წარმომადგენლებს.

აღნიშნული სამუშაო შეხვედრების ციკლი პროექტ „საქართველო-ევროკავშირის“ ფარგლებში ხორციელდება. აღსანიშნავია, რომ 7-11 ნოემბერს საქართველოს საპატრიარქოს ოფიციალური დელეგაციის ვიზიტი ბრიუსელში ზემოხსენებული პროექტის ფარგლებში განხორციელდა.

პროექტი განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრის ორგანიზებით საქართველოში დიდი ბრიტანეთის სამეფოს საელჩო ფინანსური მხარდამჭერით ხორციელდება.

პროექტის პარტნიორები არიან ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრი და ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი.

**მედიანიუსი**

# ირაკლი კობახიძე: „ე.წ. მოსმენების კანონპროექტი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებასთან შესაბამისობაშია“



საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე მიიჩნევს, რომ ე.წ. მოსმენების კანონპროექტი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებასთან შესაბამისობაშია.

— ეს კანონპროექტების პაკეტი შემუშავდა ფართო დისკუსიების საფუძველზე და ის არის შესაბამისობაში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებასთან. შესაბამისად, ჩვენ შევუდგებით ამ კანონპროექტების განხილვას და ეს პაკეტი მიმდინარე კვირაში იქნება განხილული პირველი და მეორე მოსმენით, — განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

მისივე თქმით, პროცესი არის სამუშაო და, რა თქმა უნდა, ცვლილებების შეტანა არ არის გამორიცხული.

**ინტერპრესნიუსი**

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

**დამფუძნებლები**: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
**მთავარი რედაქტორი** – სოსო გოგინაშვილი
**რედაქტორი** – ლალი ასლანიშვილი
**რედაქტორის მოადგილე** – შორენა მარსაგიშვილი

**კონსულტანტები**
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
**საფინანსო სამსახური** – კლარა ბალავაძე

**სარეკლამო სამსახური** – 2-94-02-55
**გავრცელების სამსახური** – მერაბ ლევერაშვილი
**დირექტორი** – ზურაბ ბერიძე

**დაკაბადონება** – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „ბავშვთა სამყაროს“ მოვაჭრეთა აქცია შეიძლება პოლიტიკურში გადაიზარდოს

ნონა ცაბაძე

**„ბავშვთა სამყაროს“ მიმდებარე ტერიტორიაზე ხანძრის შედეგად დაზარალებულმა მოვაჭრეებმა კარვები გაშალეს და შიმშილობის აქცია დაიწყეს. დაზარალებულები მიყენებული ზარალის ანაზღაურებას მოითხოვენ. მოვაჭრეებს მხარდაჭერას უცხადებს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე ზაზა ხატიაშვილი, რომელიც „ახალი თაობის“ კითხვებს პასუხობს.**

***— ბატონო ზაზა, რას მოითხოვენ ისინი ხელისუფლებისგან?***

— მათი მკაცრი განცხადებები გამოიწვია იმან, რომ ჩვენ ზუსტად ორი კვირის წინ მისულები ვიყავით მთავრობის კანცელარიაში, ჩავატარეთ საპროტესტო აქცია და ვთხოვეთ საქართველოს მთავრობას, შეექმნა კომისია და ეზრუნა ამ ადამიანების უფლებების დაცვაზე.

***— პროტესტს ვინ მართავს, ოქროს და ვერცხლით მოვაჭრეები?***

— ესენი არ არიან ოქროს და ვერცხლით მოვაჭრეები, არასწორი ინფორმაცია ვრცელდება. ესენი არიან ბავშვთა სამყაროს ხანძრის შედეგად დაზარალებული ადამიანები, რომლებიც ამ ტერიტორიაზე ყიდდნენ ფეხსაცმელს, ტანსაცმელს და ასე შემდეგ, რომლებსაც ამ ხანძრის შედეგად გაუნადგურდათ მთელი ქონება! ბანკებში აქვთ ჩადებული ყველაფერი. ფაქტობრივად ეს ადამიანები დარჩნენ შიმშილისა და სიკვდილის ზღვარზე.

***— დახმარებისთვის თქვენ მოგმართეს?***

— დიახ, ისინი ჩემთან მოვიდნენ დახმარების სათხოვნელად. ჩვენ ერთად წავედით, განცხადება შევიტანეთ კანცელარიაში, არავინ გამოგვეხმაურა. შემდეგ ჩავატარეთ აქცია და ვუთხარით, რომ 10 დღის ვადაში დაგვიკავშირდით. ეს 10 დღეც გავიდა, ხელისუფლება ისევ დუმს და ამ ადამიანებმა მიმართეს პროტესტის უკიდურეს ფორმას.

ეს არ არის პოლიტიკური აქცია, ეს არის სამართლებრივი აქცია! ყველა ქვეყანაში ნებისმიერი ხელისუფლება, როცა ხდება ასეთი სტიქიური უბედურება და მე ვფიქრობ, რომ ამ ხალხისთვის ეს სტიქიური უბედურება იყო, რადგან მათ ყველაფერი დაკარგეს, მიდის ადამიანებთან და ეკითხება, რით დაეხმაროს.

***— მათ არავინ გამოეხმაურა?***

— არა! საკმაოდ ცინიკური განცხადება გააკეთა დავით ნარმანიამ, ხელისუფლებას პირში წყალი აქვს ჩაგუბებული და ამ ადამიანებს არაფერს ეუბნება. რა გამოდის, ხელისუფლება, რომელიც ვალდებულია მოაწესრიგოს ყველა შენობა-ნაგებობა, დაცული იყოს უსაფრთხოების წესები, არ იცავს ვალდებულებას, არ აქვს ნორმალური სამართლებრივი ნორმები. დაიწვა ამხელა შენობა, დაზარალდა ამდენი ადამიანი, ხომ უნდა გამოვიდეს ხელისუფლება და ამ ადამიანებს ბოდიში მოუხადოს, შექმნან კომისია და იმუშაონ პრობლემის მოგვარებაზე!

***— რას მოითხოვენ ამ აქციის მონაწილეები?***

— ბევრს არაფერს, ზარალის



ანაზღაურებას, საბანკო პროცენტების შეჩერებას! ხელისუფლებას ეს შეუძლია.

***— ოქროს და ვერცხლის მოვაჭრეებს აუნაზღაურეს ზარალი?***

— მათ ასე თუ ისე გადაარჩინეს თავისი ნივთები, ზოგმა ანაზღაურებაც მიიღო, ზოგიერთი მათგანი დაასაქმეს კიდეც. ეს კი არის იმ ხალხის კატეგორია, რომელიც ხელისუფლებამ დატოვა ქუჩაში! საშინელ მდგომარეობაშია ეს ხალხი, პურის ფულიც კი არა აქვთ!

***— როდემდე გაგრძელდება ეს აქციები?***

— სამ-სამი ადამიანისგან შემდგარი ჯგუფი ჩამოიწერა და მათ შიმშილობის აქციის ერთთვიანი ვადა უკვე გაწერილი აქვთ. კარგი იქნება, ხელისუფლება გონს მოეგოს და ამ ხალხს დაელაპარაკოს. ამ ხალხს აქვს სერიოზული და ლეგიტიმური ეჭვი, რომ ეს შენობა ძალით დაწვეს. თუ ასე არ არის, მაშინ გაუფანტოს ეს ეჭვები ხელისუფლებამ.



***— რატომ აქვთ ასეთი ეჭვები?***

— როდესაც რამდენიმე დაზარალებულს პოლიციაში კითხავდნენ, თან ეუბნებოდნენ, ხელი უნდა მოაწეროთ, რომ ხანძართან დაკავშირებით პრეტენზია არა გაქვთო. კიდევ ბევრი ნიუანსი იყო. ასე რომ იქცევა გამომძიებელი, ასე რომ იქცევა ხელისუფლება, ამ ხალხს უჩნდება ეჭვი, რომ ეს შენობა შეგნებულად დაწვეს.

მეორე დღეს, როდესაც შენობის დარჩენილი ნაწილიც იწვოდა, იქ სახანძრო მანქანა იდგა და არ აქრობდა. ამ და სხვა ბევრ დეტალზე საუბრობენ ეს ადამიანები და ამიტომაც არიან ასე გამწარებულები! შენობა თუ ძალით დაწვი, დამასაქმე მაინც და ზარალი აგვინაზღაურეო — აი, ამას აცხადებს ეს ხალხი. ხელისუფლება დროზე უნდა მოეგოს გონს, სანამ ეს აქცია გადაიზრდება პოლიტიკურ აქციაში!

***— ხედავთ ამის ნიშნებს, რომ პოლიტიკურ აქციაში გადაიზარდოს?***

— ეს თემა აუცილებლად გახდება პოლიტიკური პარტიების დაინტერესების საგანი! ტვინი უნდა ეყოს ხელისუფლებას, რომ არ გაამწვავოს სიტუაცია.

# გია ხუხაშვილი: „საპატრიარქოს საქმეებში არავინ უნდა ჩაერიოს“

## „ხელისუფლებამ ციანიდის საქმეზე ბევრი შეცდომა დაუშვა“

შორენა მარსაგიშვილი

**ამზადებენ თუ არა ჯეჯელავას პრემიერობისთვის, რაში გაიხლართა ხელისუფლება, სად იმალება ყველაზე დიდი საფრთხე? – ამ თემებზე „ახალ თაობას" ექსპერტი გია ხუხაშვილი ესაუბრება.**

***— განათლების მინისტრი ალექსანდრე ჯეჯელავა ვიცეპრემიერად დაინიშნა. ამას ერში დიდი ჟრიამული მოჰყვა. თქვენ რას ფიქრობთ ამ გადაწყვეტილებაზე?***

— ამ საკითხზე სერიოზული კომენტარის გაკეთებაც კი შეუძლებელია. ამ საკადრო გადაწყვეტილებაზე ის გავარკვიე, რომ ფიფქია და 7 ჯუჯა ძალიან შეშფოთებულან, კომბლეს კიდევ ის კომბალი გადაუმალავს და ქვეყანა სასწრაფოდ დაუტოვებია. ასეთ აბსურდულ გადაწყვეტილებაზე სხვა კომენტარის გაკეთება შეუძლებელია.

დაინახეს, რომ პიარში, საზოგადოებასთან ურთიერთობაში პრობლემები აქვთ. ამ მიმართულებით ბოლო პერიოდში ბევრი სისულელე ჩაიდინეს, გადაწყვიტეს, ეს რგოლი გააძლიერონ და ეს მიმართულება ძალიან გამოცდილ და კრეატიულ ადამიანს, ალექსანდრე ჯეჯელავას ჩააბარეს. ეს კი უკვე პოლიტიკა აღარ არის. ეს საკადრო გადაწყვეტილება პოლიტიკის პაროდიაა.

***— მთავრობამ, სავარაუდოდ, იცოდა, თუ რა რეაქცია მოჰყვებოდა ამ გადაწყვეტილებას. ერთ-ერთი ვერსიით, ჯეჯელავა ვიცეპრემიერად რაღაც თემების გადასაფარად დანიშნეს.***

— რა უნდა გადაფარონ ჯეჯელავას ვიცეპრემიერად დანიშვნით? მაქსიმუმ, ხალხის ყურადღება გადაეტანათ და ისიც ნახევარი საათი. გავიგეთ, გავიცინეთ და მორჩა.

ქვეყანაში ყველა მიმართულებით არის პრობლემები, ხელისუფლებას კი რატომღაც ჰგონია, რომ მხოლოდ ერთი პრობლემაა. მიაჩნიათ, რომ უამრავ სიკეთეს აკეთებენ, რაც ხალხამდე იმიტომ ვერ მიდის, რომ ნაკეთებ




საქმეებს სათანადოდ ვერ აპიარებენ. კი ბატონო, ამ მიმართულებითაც სერიოზული ჩავარდნა აქვთ, მაგრამ, სანამ აქამდე მივლენ, უამრავი პრობლემაა მოსაგვარებელი.

დღევანდელი ხელისუფლების მთავარი პრობლემა ის არის, რომ თვითკრიტიკულობის უნარი არ აქვთ. ამტკიცებენ, მე ძალიან კარგი ვარ, რასაც სხვები ვერ ამჩნევენო. პიარს თუ გააუმჯობესებენ, ეს ცუდი არ იქნება, მაგრამ, ჯეჯელავას რომ აქცევ ამის დიდოსტატად, ეს ძალიან არასერიოზულია.

***— იქნება და გაამართლოს ჯეჯელავამ ამ ფრონტზე?***

— კაცი დღემდე ზღაპრების კრიტიკული ანალიზიდან ვერ გამოვიდა და მისგან სასიკეთოს არაფერს უნდა ველოდოთ.

***— თქვენი შეფასებებიდან გამომდინარე, ამ ვერსიას, ალბათ, არ დაეთანხმებით, მაგრამ მაინც გკითხავთ: გაჩნდა ასეთი ვერსიაც, რომ ჯეჯელავას პრემიერობისთვის ამზადებენ და ამიტომ დანიშნეს ვიცეპრემიერად.***

— საოცნებო ქვეყანაში რადგან ვცხოვრობთ, არ არის გამორიცხული, ორიენტირი ზღაპრული ქვეყანა იყოს. ზღაპარში თუ უნდათ გვაცხოვრონ, ჯეჯელავა პრემიერობისთვის შესაბამისი კანდიდატურა იქნება. ამასთან, ხალხი უნდა გავაფრთხილო, რომ ეს არ იქნება ქართული ზღაპარი, რადგანაც ჯეჯელავას ქართული ზღაპრები არ მოსწონს.

ქვეყანა, მართალია, სერიოზულ გაუგებრობაშია, მაგრამ ასეთი ქვეყნისთვისაც კი მეტისმეტი იქნება ჯეჯელავას პრემიერობა. ამ საკითხზე სერიოზულად საუბარიც კი შეუძლებელია. პირდაპირ გეტყვით, ამ ადამიანს სერიოზულად ვერ აღვიქვამ და მასზე ვერც კი ვბრაზდები. ასე ფიქრობს მოსახლეობის დიდი ნაწილი.

***— ხელისუფლებისთვის ეს უფრო ცუდი არ არის? როგორც ამბობენ, როცა ხალხი ხელისუფლების დაცინვაზე გადადის, იქ მისი საქმე თითქმის დამთავრებულია. ჩვენთან უკვე დასცინიან ხელისუფლებას.***

— ნებისმიერ ადამიანს ურჩევნია, ებრძოლონ, ვიდრე დასცინონ. დაცინვა რღვევის ბოლო ეტაპია. საბჭოთა კავშირი მაშინ დაიშალა, როცა ხალხმა ცეკას მდივნებზე ანეკდოტების მოგონება დაიწყო. დღევანდელმა ხელისუფლებამ ეს აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს, მის წინაშე არსებული პრობლემების გადასაჭრელად ზნეობრივი და ინტელექტუალური რესურსის მობილიზება უნდა მოახდინოს.

მოვლენები ისე ვითარდება, რომ ხელისუფლებამ საგანგებო მდგომარეობა უნდა გამოაცხადოს. სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ პრობლემებს ახლა საპატრიარქოს თემაც დაემატა. ამ პრობლემებზე პასუხი თუ ჯეჯელავას დანიშვნაა, მაშინ სრულ არაადეკვატურობასთან გვქონია საქმე.

***— საპატრიარქო ახსენეთ და რა შეფასებას აძლევთ მის გარშემო მიმდინარე მოვლენებს? ყოველდღე რაღაც ახალი გვესმის.***

— მოდით, დადებითიდან დავიწყებ საუბარს. კარგი ის არის, რომ პატრიარქი არის ჯანმრთელად და ფორმაშია. ჩემთვის ეს არის მთავარი. ის რომ ფორმაში არ იყოს, მერწმუნეთ, კიდევ უფრო მძიმე ვითარება იქნებოდა.

ახლა რაც შეეხება ნეგატივს. ბოლო დღეების განმავლობაში ძალიან ბევრი კითხვა დაგროვდა. მე ეკლესიის შიგნით განვითარებულ მოვლენებზე არ ვისაუბრებ, მიმაჩნია, რომ ეს არ არის ჩვენი საქმე. ძალიან სამწუხაროა, რომ ბევრი ექსპერტი და პოლიტიკოსი მხარეებად ლაგდება. ხშირ შემთხვევაში, ისინი სასულიერო პირებს შეურაცხყოფასაც კი აყენებენ, არადა, ამ ადამიანებს თავი მორწმუნეები ჰგონიათ.

სიტუაცია კატასტროფულია. პირდაპირ გეტყვით, ამ ქვეყანაში ავტორიტეტები აღარ არსებობენ. ამ ქაოსში ერთადერთი ეკლესია ანთია სანთელივით და ვიღაცა თავისი გაუაზრებელი ქმედებებითა და საეკლესიო პრობლემატიკაში ჩარევით ცდილობს, ეს ბოლო ნათელი წერტილიც გააქროს.

მე შორს ვარ იმ აზრისგან, რომ საპატრიარქოში არ არის პრობლემები, მაგრამ იქ არავინ უნდა ჩაერიოს. პრობლემები ყველა სფეროშია და ყველამ თავის პრობლემას მიხედოს. მინდა, ზოგიერთებს ის ფაქტიც შევახსენო, რომ ეკლესია საერო საქმეებისგან გამიჯნულია. ის პირები, რომლებიც ახლა ისტერიულად ერევიან ეკლესიის პრობლემატიკაში, ძალიან ღიზიანდებოდნენ, როცა საპატრიარქოს წარმომადგენლები საერო საქმეებში ერეოდნენ.

ხელისუფლებამ ციანიდის საქმესთან დაკავშირებით ძალიან ბევრი შეცდომა დაუშვა. იმედი მაქვს, ეს მართლაც შეცდომებია და მეტი არაფერი. წინააღმდეგ შემთხვევაში, ძალიან ბევრი კითხვის ნიშანი გაჩნდება. კითხვები ისედაც არსებობს, რომლებზეც პასუხს არავინ გვცემს და ამის ნაცვლად რაღაც უცნაურ ღონისძიებებს ატარებენ.

***— უცნაურ ღონისძიებებში რას გულისხმობთ?***

— ერთი მხრივ, ეკრანიდან არ ჩამოსულან პროკურატურის წარმომადგენლები და მათი ირიბი თუ პირდაპირი მოწმეები, რომლებიც ვიღაცის მონაყოლს ყვებიან. მეორე მხრივ, ადვოკატებს უკრძალავენ ხმის ამოღებას. ახლა მითხარით, ეს ჯანსაღი პრო-

გაგრძელება მე-4 გვერდზე

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმულისარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# მამუკა არეშიძე: „რუსეთს საქართველოს ვიზალიბერალიზაცია არ ადარდებს“

ნონა ცაბაძე

**ლავროვის განცხადებებთან დაკავშირებით „ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი კავკასიის საკითხებში მამუკა არეშიძე პასუხობს.**

***– ბატონო მამუკა, როგორ შეაფასებდით სერგეი ლავროვის განცხადებას და რა საფრთხეებზეა საუბარი?***

– ლავროვს კონკრეტულად საქართველო არ უხსენებია, როდესაც საფრთხეებზე საუბრობდა, ის ლაპარაკობს სამხრეთ კავკასიაზე. ამ პრინციპით, რასაც ლავროვი ამბობს, მაშინ ხვალ-ზეგ რუსეთმა სავიზო რეჟიმი უნდა დააწესოს აზერბაიჯანთან. თუ სამხრეთ კავკასიაზეა საუბარი, მაშინ აზერბაიჯანის ტერიტორიაც გამოიყენება და ის გამოიყენება თუ გამოიყენება გადაადგილების თვალსაზრისით. ეს არის ლაპარაკი ლაპარაკისთვის.

***– რას ცდილობს ამით რუსეთი?***

– რუსეთი მუდმივად ცდილობს, საქართველოსთან ურთიერთობაში სულ მოგებულ მდგომარეობაში იყოს! მაშინ დააწესონ აზერბაიჯანთანაც სავიზო რეჟიმი და 100%-ით დაცულები იქნებიან ტერორისტების გადაადგილებისგან.

***– ლავროვი მიანიშნებს დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენისკენ.***



– ქართული მხარე ვერ წავა დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენაზე გასაგები მიზეზების გამო. მათ ტერიტორიული მთლიანობა აქვთ დარღვეული და ოკუპირებული აქვთ ჩვენი ტერიტორიის საკმაოდ დიდი ნაწილი. ამიტომ ქართული მხარე ამაზე არც უნდა წავიდეს! სავიზო რეჟიმს რაც შეეხება, ისეთი გამარტივებულია ვიზების აღება, რომ ვისაც რუსეთში წასვლა უნდა, ამას მარტივად მოახერხებს.

***– თქვენ არაერთხელ გითქვამთ, რომ საქართველოს ტერიტორია ნარკოტრასად იყო გამოყენებული. დღეს ამაზე ლავროვი საუბრობს. რა სიტუაციაა დღეს ამ კუთხით?***

– ნარკოტრასა როგორც იყო, ისე არის. რამდენიმე ძალიან დიდი პარტია დაკავებულ იქნა საქართველოს ტერიტორიაზე. ეს ისეთი ტრასაა, რომელიც მსოფლიო ნარკოკარტელის გეგმაში ზის და იმდენად დიდი ფული ტრიალებს ამაში, რომ მარტივად ამას ვერ მოუვლი. ამას მარტო საქართველოს ძალისხმევა ვერ უშველის. რუსეთმა ჯობია თავის თავს მიხედოს. თქვენ რა გგონიათ, იქ არ გადის ნარკოტრასები?! სანქტ-პეტერბურგის პორტი ცნობილია ამით!

***– იმატა სამხრეთ კავკასიის მიმართულებით ტერორისტების გადაადგილების ფაქტებმა თუ რატომ გაუსვა ამას ხაზი ლავროვმა?***

– გადაადგილების ფაქტები ალბათ არის, ბოლო წლებია, მსგავსი შემთხვევები ჩემს ყურამდე არ მოსულა. თუ ვინმეს უნდა მოძრაობა, მაინცდამაინც საქართველოს გავლით რატომ უნდა იაროს, როცა ამის გაკეთება შესაძლებელია რუსეთის აეროპორტების მეშვეობით?! ამაში არ არის პრობლემა, რუსეთს სხვა რამე აწუხებს.

***– რა აწუხებს?***

– ის, რომ აქ ნატოს სტანდარტების საწვრთნელი ცენტრი იხსნება, ის, რომ საქართველო არ იშლის ნატოსთან ურთიერთობას, პირიქით, ეს ურთიერთობა სულ უფრო ღრმავდება, აი, რა აწუხებს. სამხრეთ კავკასია რატომ ახსენა, იცით?!

***– რატომ?***

– იმიტომ, რომ ამერიკის გაერთიანებული შტატების უფროსი იყო ჩასული ბაქოში და მიუხედავად იმისა, რომ ის იქ შეხვდა რუსეთის გენშტაბის უფროსს, გერასიმოვს, მაინც ჩაითვალა, რომ ამერიკა და ნატო აზერბაიჯანს მოიაზრებენ, როგორც თავის პოტენციურ მოკავშირეს. ამიტომაც იყო ნახსენები სამხრეთ კავკასია.

***– რუსეთს საქართველოს ვიზალიბერალიზაციის საკითხიც აწუხებს?***

– ბევრი ფიქრობს ასე, თუმცა, რუსეთს აბსოლუტურად არ ადარდებს ეს ვიზალიბერალიზაცია. რუსეთს აწუხებს ზოგადად საქართველოს ინტეგრაციის პროცესი დასავლეთისკენ. მაგალითად, რუსეთისთვის ბევრად უფრო სანერვიულო იყო ასოცირების დოკუმენტზე ხელმოწერა, მაგრამ კარგად ვხედავთ, რომ ქართველები ვერ იყენებენ ამ დოკუმენტს სათანადოდ. ის ნამდვილად აშფოთებდა, თორემ ვიზალიბერალიზაცია რაში ადარდებს?!

***– თქვენ ასე ფიქრობთ?***

– ასეა. რაც მეტი ქართველი წავა საქართველოდან, ეს მით უკეთესი არ არის რუსეთისთვის?! ჩვენ ვერ ვისწავლეთ ერთი აქსიომა, რომ რუსეთისთვის არის უმნიშვნელოვანესი, რომ სამხრეთ კავკასიას აკონტროლებდეს მთლიანად! როგორც პოლიტიკური, ისე სამხედრო თვალსაზრისით. აზერბაიჯანსაც და დარჩენილ საქართველოსაც. აი აქედან უნდა ამოვიდეთ ხოლმე.

დღეს საქართველო თურქეთიდან უფრო მჭახე ზეწოლის ქვეშ არის, ვიდრე რუსეთისგან და ამერიკისგან.

***– რას გულისხმობთ მჭახე ზეწოლაში?***

– თურქეთი კატეგორიულად ითხოვს თუნდაც ამ სკოლების დახურვას, რომლებიც გიულენის სახელს უკავშირდება. შაჰინის სკოლა დახურეს და დანაჩენებსაც უტევენ. ზოგს საფინანსო ჰყავს შესეული და ზოგს კიდევ რა ვიცი. ბათუმში შაჰინის სკოლა იხურება, ამ დროს თურქეთიდან აძევებენ დეფაქტო აფხაზეთის წარმომადგენელს. ეს უბრალო დამთხვევა არ გეგონოთ. აქ ბევრი საინტერესო დეტალია.

# ზაალ კასრელიშვილი: „რუსეთი სამხედრო ინტერვენციისთვის ემზადება“

შორენა მარსაგიშვილი

**რატომ დააგვიანა საქართველოს ხელისუფლებამ ლავროვისთვის პასუხის გაცემა, საიდან ჩადიან სინამდვილეში ბოევიკები სირიაში, რისთვის ამზადებს ფონს რუსეთი? – ამ თემებზე „ახალ თაობას“ ანალიტიკოსი უსაფრთხოების საკითხებში ზაალ კასრელიშვილი ესაუბრება.**

***– რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ბრალდებებს საქართველოს მთავრობა დაგვიანებით გამოეხმაურა და სერგეი ლავროვი საკმაოდ მოკრძალებულად დაგმო. რითი ხსნით ჩვენი ხელისუფლების ასეთ პოზიციას?***

– რუსეთის ხელისუფლების მსგავსად, საქართველოს ხელისუფლების პოზიციებიც ხშირად გაუგებარია. ვერც იმას გეტყვით, რა მიზანი აქვს საქართველოს მთავრობას მოსკოვთან ურთიერთობაში. ამ გაურკვევლობამ ევროპაში უკვე დიდი ხანია, გააჩინა ეჭვები.

ხელისუფლებასთან დაახლოებული პირი არ ვარ და გამიჭირდება იმის თქმა, თუ რატომ დააგვიანა მან რეაქცია, მაგრამ ამ შემთხვევაში, შესაძლოა, გაგებით მოვეკიდოთ ოფიციალური თბილისის პოზიციას. რუსეთი არის ქვეყანა, რომლისთვისაც მნიშვნელობა არ აქვს, მაღალ ტონალობაში ელაპარაკები თუ დაბალში.

ერთი მხრივ, შესაძლოა, კარგიც არის, რომ ქართულმა მხარემ ასეთი თავშეკავებული პასუხი გასცა რუსეთის საგარეო უწყების პირველ პირს, რომელიც თავისი ანტიქართული განცხადებებით გამოირჩევა. აღსანიშნავია, რომ ამ ადამიანს ევროპელი დიპლომატები სომხურ ლობის ეძახიან.

***– კარგი რატომ არის?***

– შესაძლოა, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ეს განცხადება სწორედ იმიტომ გააკეთა, რომ ქართული მხარისგანაც მკვეთრი განცხადებები გაკეთებულიყო, რასაც რუსეთი კიდევ უფრო მკვეთრ განცხადებას მოაყოლებდა. მერე თბილისი იტყოდა თავის სათქმელს. ამ პოლიტიკურ იწილობიწილოს ძალიან ცუდი გაგრძელება მოჰყვებოდა.

***– ცუდ გაგრძელებაში რას გულისხმობთ, ქართულ პროდუქციას აღარ შეუშვებს რუსულ ბაზარზე?***

– ქართული პროდუქცია რუსეთში ისედაც აღარ შედის დიდი რაოდენობით. რატომღაც მგონია, რომ რუსეთი უფრო მკვეთრი ნაბიჯებისთვის ემზადება. მათი მხრიდან სამხედრო ინტერვენცია არ არის გამორიცხული. სერგეი ლავროვს შემთხვევით არ უთქვამს, რომ საქართველო ბოევიკებისთვის არის დერეფანი.

რუსეთის მაღალ ეშელონებში თუ ძალიან აწუხებთ ეს საკითხი, მაშინ ყველაფერს თავისი სახელი უნდა დაარქვან. კერძოდ, ლავროვს უნდა ეთქვა, რომ ბოევიკების გადაადგილებას რამდენჯერმე ჰქონდა ადგილი, მაგრამ, ეს მაშინ ხდებოდა, როცა საქართველოს სააკაშვილის ხელისუფლება მართავდა.

ამასთან, ისიც უნდა დაეყოლებინა, რომ სანამ ეს ბოევიკები საქართველოში მოხვდებოდნენ, ჯერ რუსეთის ტერიტორია გამოიარეს. რუსეთის ტერიტორიაზე ისინი ევროპიდან ჩამოვიდნენ. ეგრე არ არის, რომ ეს ბოევიკები საქართველოდან ახტნენ რწყილებივით და სირიაში ჩახტნენ. სირიაში მოსახვედრად მათ თურქეთის ტერიტორიაც უნდა გაევლოთ.

***– ადრე რუსები თურქეთსაც ადანაშაულებდნენ ბოევიკების ხელშეწყობაში და ახლა რაღაც აღარ ისმის ეს ბრალდებები.***

– თურქეთის გარდა, ასეთივე პრეტენზიები კრემლს აზერბაიჯანთანაც ჰქონდა, მაგრამ ახლა არცერთ მათგანს არ ახსენებენ. ორივე მათგანი საქართველოზე ძლიერია და ამიტომ ერიდებიან მათზე ცუდის თქმას. აშკარაა, რომ რუსეთს საქართველოსთან კარგი ურთიერთობის დამყარება არ უნდა და ამიტომ ზოგიერთებმა მოსკოვის განცხადებების შელამაზებას თავი დაანებოს.

***– რატომ გგონიათ, რომ რუსეთს საქართველოსთან ნორმალური ურთიერთობების აღდგენა არ სურს?***

– ეს სურვილი რომ ჰქონოდათ,



ამას აუცილებლად გააკეთებდნენ. ყველას რატომღაც ეგონა, რომ სააკაშვილის შეცვლის შემდეგ რუსეთი საქართველოს მიმართ დამოკიდებულებას შეცვლიდა.

***– ეს მოლოდინი რამ გააჩინა? ექსპერტების დიდი ნაწილი ამბობს, რომ საქართველოს არცერთ ხელისუფალს არ გაუკეთებია იმდენი სარუსეთო საქმე, რამდენიც სააკაშვილმა გააკეთა.***

– სააკაშვილის დახმარებით რუსეთმა ბევრ მიზანს მიაღწია საქართველოში, მაგრამ ის მაინც მის მტრად აღიქმებოდა. „ქართული ოცნება“ კი რუსეთთან სიტუაციის დარეგულირების მომხრე იყო. ფაქტია, რომ რუსეთმა არც სააკაშვილის წასვლის შემდეგ შეცვალა რიტორიკა.

დამიჯერეთ, ჩვენ ჩვენი ეროვნული ინტერესებიც რომ დავთმოთ, კრემლი მაინც გართულებაზე წავა.

***– ფიქრობთ, რომ სამხედრო ინტერვენცია გარდაუვალია?***

– რუსეთისგან ყველაფერია მოსალოდნელი. კრემლმა საქართველოდან წაიღო ის ტერიტორიები, სადაც მას რეალურად ჰქონდა გავლენები. ამის შემდეგ მან რამდენჯერმე ცადა, საქართველო ფეოდალურ სამთავროებად დაეშალა – ხან აჭარას უჩხიკინა, ხან სამეგრელოს და ხან ჯავახეთს. საბედნიეროდ, ამ მიმართულებით არაფერი გამოუვიდა. საქართველოში დიდი ხანია, რაც პოლიტიკური ელიტაა ჩამოყალიბებული, რომელიც იღებს გადაწყვეტილებებს. რაიონებისა და რეგიონების დონეზე, მადლობა ღმერთს, გადაწყვეტილებები აღარ მიიღება.

ამ მიმართულებით რუსეთი წარუმატებლობას, ალბათ, არ შეეგუება და ახალ პროვოკაციას მოიფიქრებს.

***– თქვენ თქვით, რომ რუსეთმა ის ტერიტორიები წაიღო, სადაც რეალურად ჰქონდა გავლენები. დარწმუნებული ხართ, რომ სხვა ტერიტორიების წაღებას აღარ ეცდება? მათი ჟირინოვსკი კი არის გიჟი, მაგრამ ხშირად კრემლის პოზიციებს ახმოვანებს. კრემლის გადარეულმა რუპორმა ამჯერად განაცხადა, რომ რუსეთსა და თურქეთს პირდაპირი საზღვარი უნდა ჰქონდესო. თურქეთსა და რუსეთს შორის კი საქართველოა. მისი ეს განცხადება როგორ უნდა გავიგოთ?***

– როგორ უნდა გავიგოთ და როგორც კრემლის პოზიცია. რუსეთი დიდი ხანია ოცნებობს მთელი კავკასიის ხელში ჩაგდებაზე. ამის გარდა, აკვიატებული აქვთ ევრაზიული კავშირი და იქ სურთ ჩვენი შეთრევა. კუნთებისა და რაკეტების თამაშის მიუხედავად, ისინი შედეგზე მაინც ვერ გავიდნენ. არც ევროპამ და არც ამერიკამ მათ სანქციები არ მოუხსნა. ამან რუსეთის ეკონომიკა ძალიან მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო.

***– თუ ასეთი დასუსტებულია რუსეთი, მაშინ, წესით, ბევრი ვერაფერი უნდა დაგვიშავოს.***

– ამის თავი რუსეთს ყოველთვის ექნება, მაგრამ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ ხელები უნდა ჩამოვყაროთ და ენის მოჩლექით ველაპარაკოთ. საქართველო ჯერ კიდევ მაშინ არსებობდა, სანამ რუსეთი გაჩნდებოდა. ამ ქვეყანამ რუსეთზე დიდი იმპერიები მოინელა და ამათაც მოვინელებთ. ვერც ენა შეგვაცვლევინა ვინმემ, ვერც კულტურა და ვერც სარწმუნოება. მომავალშიც ასე იქნება.

რუსეთი ისევ გააგრძელებს საქართველოსთან აგრესიულ ტონალობაში საუბარს. მოსკოვი ვერაფრით შეურიგდა იმას, რომ ჩვენ ვიზალიბერალიზაცია მივიღეთ. ამას დაემატა ევროპული არმიის შექმნაც. ბუნდესტაგის ბაზაზე დაიწყო ევროპული არმიის ფორმირება. ევროპას რუსეთი ველარაფერს დააკლებს და, ეტყობა, გადაწყვიტა, ყველას ჯავრი ჩვენზე იყაროს.

# გია ხუხაშვილი: „საპატრიარქოს საქმეებში არავინ უნდა ჩაერიოს“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

ცესია? მე არ ვიცი, რა მოხდა და არც არავის ვამართლებ, მაგრამ, აშკარად ვხედავ, რომ თანაბრობის პროცესი დარღვეულია. აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ ფეხქვეშ არის გათელილი უდანაშაულობის პრეზუმფცია. ასეთ რამეებს მიშაც კი არ აკეთებდა. მიუხედავად იმისა, რომ ათასგვარ დანაშაულს ჩადიოდა და რასაც უნდოდა, იმას აკეთებდა, ასე თეთრი ძაფით მის დროს საქმეები არ იკერებოდა.

ასეთი რამე საერთოდ არსად მინახავს – ჯერაც გამოუქვეყნებელ ვიდეოჩანაწერს მოჰყვნენ პირველ, მეორე, მესამე პირში.

## „ჯეჯელავას სერიოზულად ვერ აღვიქვამ“

***– ზემოთ თქვით, რომ საპატრიარქო სანთელივით ანთია ამ ქაოსში და ვიღაცა მის ჩაქრობას ცდილობს. ამ მიზანს ხომ არ ემსახურება ეს საქმეც?***

– იმედი მაქვს, ვიღაცას რაღაც უბედურება არ აქვს დაგეგმილი და ეს უბრალო სისულელეა. ამ ხელისუფლების მიმართ ბევრი პრეტენზია მაქვს, ვერც სერიოზულად აღვიქვამ, მაგრამ ერთი რამე ცხადია – მას არა აქვს ბოროტი უნარები. ეს მაფიქრებინებს, რომ რაც საპატრიარქოს გარშემო ხდება, დაგეგმილი არ არის.

ხშირად ვამბობ ხოლმე, რომ ეს ხელისუფლება გადამწიფებული თინეიჯერია, რომელიც ბუნებით კარგი ტიპაჟია და სიკეთის თესვა უნდა, მაგრამ თან ძველბიჭობა მოსწონს. ასე იქცევა საქართველოს ხელისუფლებაც, ბოროტი უნარები არა აქვს, მაგრამ უნდა, რომ ასე წარმოჩნდეს.

ქართველ ახალგაზრდებში ასეთი ფენომენის გამოვლინება ხშირად ხდება. არიან ნაკითხი და ინტელექტუალი ბავშვები, რომ არ დაიჩაგრონ, ქუჩაში შავი ტანსაცმლით გამოდიან, ძეწკვებს იკიდებენ, თვალებს უცნაურად გადაატრიალებენ, თითქოს ძალიან ძველი ბიჭები არიან. სინამდვილეში წიგნი და მოხუცების დახმარება უყვართ.

# ვალერი გელბახიანი: „მქონებელთა კასტის ჩამოყალიბება უკვე რეალობაა“

## „თუ არაფერი შეიცვალა, რევოლუციისკენ წავალთ“

მარიამ მჭედლიშვილი

„ახალი თაობა" ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე ყოფილ დეპუტატ ვალერი გელბახიანს ესაუბრა.

*– თქვენ ყველაზე ადრე შეამჩნიეთ და საგანგაშოდ მიიჩნიეთ პარლამენტში ფულიანი ხალხის მოზღვავება. უკვე გამოქვეყნდა ოფიციალური მონაცემები. ამ ციფრების თანახმად, დღევანდელ საკანონმდებლო ორგანოში 41 მილიონერია, აქედან 37 – უმრავლესობაში.*

– ძალიან კარგია, რომ ეს მონაცემები გამოქვეყნდა. ეს იმას ამტკიცებს, რომ ქვეყანაში ყალიბდება მქონებელთა კასტა. ეს სიგნალები და სიმპტომები კი აღარაა, არამედ – რეალობა. იქმნება მდიდართა კლასი, ელიტა, რომელიც ხელისუფლებაში მოდის. ეს თავისთავად იწვევს ანტაგონიზმს.

*– ადრეც გითქვამთ, რომ საქართველოში კლასობრივი ბრძოლის ნიშნები იკვეთება.*

– ეს კანონზომიერებაა. მქონებელთა კლასი, რომლის წარმომადგენლები არიან მთავრობასა და პარლამენტში, იწვევენ პროტესტს დანარჩენ მოსახლეობაში, რომელიც სხვა, ანუ მეორე კლასს წარმოადგენს. ესაა გზა უფსკრულისკენ. სოციალური მოტივებით დაწყებული დაპირისპირება ადრე თუ გვიან გადაიზრდება აჯანყებასა და რევოლუციაში.

გერმანიამ, საფრანგეთმა და სხვა სახელმწიფოებმა ეს გზა 200 წლის წინ გაიარეს. ჩვენთან ახლა ჩანს ამის ნიშნები. ხალხი ხედავს, რომ ახალი კასტა ზრუნავს თავის ინტერესებზე. პარლამენტში იღებენ ისეთ კანონებს, რომლებიც ხელს უწყობს მქონებელთა კლასის ბიზნესების წახალისებას და მდიდრების გამდიდრებას.

*– სუპერმარკეტების ქსელებსა და სხვა სფეროებში დასაქმებულებისთვის მონური პირობებია შექმნილი. მილიონერთა პარლამენტი ამ მდგომარეობას არ გამოასწორებს?*

– სწორედ ამაზე ვსაუბრობ. ფულიანი კასტა პარლამენტში იცავს თავის ინტერესებს. ეს ხალხი მერეც იტყვის, რომ კანონები მას უნდა დაემორჩილოს. ამის შედეგად მონური პირობები და ექსპლუატაცია დარჩება.

*– შეიძლება რევოლუციური სიტუაცია შეიქმნას?*

– რა თქმა უნდა. თუ არაფერი შეიცვალა, რევოლუციისკენ წავალთ. კლასობრივი ბრძოლა უკვე შეინიშნება. სოციალურ მოტივებს დაემატება პოლიტიკური. ამით საფრთხეში დგება ქვეყნის სტაბილურობა.

*– ამას ემატება ის, რომ ოპტიმიზაციის საბაბით სამსახურებიდან ათავისუფლებენ ქვედა რგოლების თანამშრომლებს, რომლებსაც მაღალი ხელფასები არ ჰქონიათ. მინისტრების მოადგილეებს, მაგალითად, არავინ ეხება. ისინი პრემია-დანამატებსაც იღებენ.*

– მაღალჩინოსნებიც ამ ელიტას წარმოადგენენ. მათ გათავისუფლება და შეზღუდვები არ ეხებათ. ეს ყველაფერი კლასობრივი დაპირისპირების საფრთხეს აძლიერებს.

*– მთავრობა ვიცეპრემიერების რაოდენობასაც ზრდის. მესამე ვიცეპრემიერად განათლების მინისტრი ალექსანდრე ჯეჯელავა დაინიშნა.*



### „ჯეჯელავას დანიშვნა ვიცეპრემიერად გაუგებარი და ცინიკურია“

– ესეც გაუგებარი და ცინიკურიცაა. ვიცე-პრემიერის ფუნქციებში შედის პრემიერის ჩანაცვლება მაშინ, როცა ის ქვეყანაში არ იმყოფება. ორი ვიცე-პრემიერი ისედაც გვყავდა. რა საჭირო იყო კიდევ ერთის დამატება, არ ვიცი. ეტყობა, ჯეჯელავამ ამ პოსტიდანაც უნდა აშაყიროს ქართული ტრადიციები, ელიტამ კი უნდა იხარხაროს! შეიძლება ჯეჯელავა კარგი ლექტორია, მაგრამ პოლიტიკურ თანამდებობაზე, მინისტრად ის ვერ გამოდგა. მისი გამონათქვამები საზოგადოებაში შეშფოთებას იწვევს. ბარემ, ადგნენ და ყველა მინისტრი ვიცე-პრემიერად დაამტკიცონ!

*– პოლიტიკურ ველზე რა მდგომარეობაა?*

– „ქართულ ოცნებას“ პოლიტიკური ოპოზიცია, ფაქტობრივად, არ ჰყავს. ხალხი უკმაყოფილოა, მაგრამ ეს მხოლოდ წყენაში გამოიხატება. წყენის ხმამაღლა გამოხატვას ორგანიზება სჭირდება. ვერ ვხედავ ისეთ პოლიტიკურ ჯგუფებს, რომლებიც პროტესტის ორგანიზებას შეძლებენ. პოლიტიკურმა პარტიებმა ნდობა დაკარგეს. ბევრმა თავი შეირცხვინა.

*– ნაცმოძრაობაზე რისი თქმა შეიძლება?*

– დაშლილი ნაცმოძრაობა და „ქართული ოცნება“ შეხმატკბილებული არიან ერთმანეთში. „ქართულ ოცნებას“ სინამდვილეში არავინ უპირისპირდება. გაყოფილი ნაციონალური მოძრაობა ფასადური ოპოზიციაა. ნათქვამია, წმინდა ადგილი შეუვსებელი არ დარჩებაო. არც პოლიტიკური ველი დარჩება ცარიელი. გამოჩნდებიან ახალი ძალები ახალი ლიდერებით. ისინი ფულიანთა კასტის წარმომადგენლები კი არ იქნებიან, არამედ, ხალხის ინტერესების დამცველები. ეს ლიდერები არაპოლიტიკოსები იქნებიან.

*– მოსალოდნელია, რომ მმართველმა პარტიამ დედაქალაქის მერის პოსტზეც რომელიმე მდიდარი ბიზნესმენი წამოაყენოს?*

– ადგილობრივ არჩევნებამდე გარკვეული დროა დარჩენილი. რა მოხდება 6 თვეში, ზუსტად ვერ ვიტყვი. თუ ფონი არ შეიცვალა, „ქართულმა ოცნებამ“ ჯოხი რომ დაარჭოს, იმას გაიყვანს მერად.

*– ახალი ძალა თუ გამოჩნდა, სიტუაცია შეიცვლება?*

– რასაკვირველია. თუ არჩევნებამდე არ გამოჩნდა, იგივე განმეორდება, რაც შარშან მოხდა საპარლამენტო არჩევნებზე. უამრავი წელიწადია, არჩევნებს ვაკვირდები და ვიცი, რომ არ შეიძლება ყველგან, ქვეყნის ყველა კუთხეში, ერთნაირი შედეგი დაიდოს. მაგალითად, შეუძლებელია, ჭიათურასა და ლაგოდეხში არჩევნები ერთნაირი პროცენტებით დამთავრდეს. ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ 2016 წლის არჩევნების შემდეგ ხმები საერთოდ არ დაუთვლიათ და მანდატები წინასწარ გადაინაწილეს.

# ალეკო ელისაშვილი: „გვითხრან, რომ ჩვენ დავბრუნდით 90-იან წლებში და ავისხამთ ავტომატებს“



საკრებულოში, სადაც დედაქალაქის მერიის შესაბამისი სამსახურების წარმომადგენელ პირებს მოსამართლე ნატა ნაზღაიძის ოჯახისთვის მილიონი ლარის გამოყოფის შესახებ არსებულ კითხვებზე პასუხი უნდა გაეცათ, მერიის წარმომადგენლები საკრებულოში არ გამოცხადდნენ.

საკრებულოს დეპუტატების განცხადებით, მერიის წარმომადგენლების საკრებულოში მისვლაზე უარი ძალიან უხეში კანონდარღვევაა.

– კითხვებს მხოლოდ ჩვენ არ ვსვამთ, ამ კითხვებს სვამს საზოგადოება. თბილისელები, რომელთა ჯიბიდანაც მილიონი ლარი ამოიღეს და ნაზღაიძის ოჯახს გადაუხადეს, რუსთავი 2-ის საქმის მოსამართლეს უკანონო განაჩენის გამოტანისთვის გადაუხადეს, – აცხადებს საკრებულოს დეპუტატი მამუკა ქაცარავა.

საკრებულოს დამოუკიდებელი დეპუტატის ალეკო ელისაშვილის თქმით, თუ საკრებულოში ნარმანიაც არ მივა, ეს ნიშნავს, რომ 90-იან წლებში დაბრუნდა ქვეყანა.

– სახელმწიფო იმართება კონსტიტუციით, კანონებითა და წესებით. მათ შორის თბილისის საკრებულოსა და მერიის ურთიერთობებს არეგულირებს „თვითმმართველობის კოდექსი“ და რეგლამენტი.

41-ე მუხლში წერია, რომ ფრაქციების დაბარების შემთხვევაში მერიის წარმომადგენლები აუცილებლად უნდა მოვიდნენ. ისინი არ მოვიდნენ და ძალიან უხეშად დაარღვიეს კანონი.

ბიძინა ივანიშვილმა, როგორც ჩანს, სახელმწიფო გააუქმა, სახელმწიფო, რომელიც წესებით და კანონებით უნდა იმართებოდეს. მაშინ გვითხრან, რომ ჩვენ დაბრუნებულები ვართ 90-იან წლებში, ავისხამთ ავტომატებს. თანამდებობის პირისგან პასუხი რომ გავიგოთ უნდა დავხვდეთ სადარბაზოსთან? ასეთ სახელმწიფოში გვაბრუნებენ? – განაცხადა ალექსანდრე ელისაშვილმა.

დედაქალაქის მერი საკრებულოს დეპუტატების კრიტიკას გამოეხმაურა.

მისი თქმით, მოსამართლე ნაზღაიძის საქმეზე უკვე არაერთი განცხადება გაკეთდა. ნარმანია ამბობს, რომ მოსამართლის ოჯახისთვის ერთი მილიონის გადარიცხვის გადაწყვეტილება იყო კანონიერი და საკრებულოს წევრებს პოლიტიკური შოუს მოწყობაში ადანაშაულებს.

– საზოგადოებისთვის ძალიან მკაფიოდ არის ცნობილი და არაერთხელ მივაწოდეთ ინფორმაცია, რომ გადაწყვეტილება არის კანონიერი და სწორი. ამიტომაც არ ჩავთვალეთ მიზანშეწონილად პოლიტიკური შოუს მოსაწყობად დედაქალაქის საკრებულოში ჩვენი წარმომადგენლების გაგზავნა. შესაბამისად, შოუ არ შედგა, – განაცხადა ნარმანიამ.

**პირველი რადიო**

# ნაციონალები საგარეო უწყებას დაუყოვნებლივ რეაგირებას სთხოვენ



ოპოზიცია საგარეო უწყებას მოუწოდებს, დაუყოვნებლივ უპასუხოს სერგეი ლავროვს.

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა საქართველო ტერორისტების მომზადებასა და 2008 წლის აგვისტოს ომის დაწყებაში დაადანაშაულა.

– ჩვენ, რა თქმა უნდა, ვიცით, რომ რუსეთი ცალსახად ადანაშაულებს საქართველოს 2008 წლის ომში და ეს ახალი არ არის, მაგრამ შემაშფოთებელია, რომ ეს განცხადება უპასუხოდ რჩება დღეს.

ჩვენ ვშიშობთ და გვაქვს სერიოზული ვარაუდი ვიფიქროთ, რომ რუსეთის საგარეო უწყება მსგავსი განცხადებით რეალურად ცდილობს, ქართული მხარე ჩაითრიოს თანამშრომლობის იმ ფორმატებში, რაც შეეხება ჩვენი ქვეყნის უშიშროებასა და თავდაცვას, რომელიც საზიანო იქნება ჩვენი ქვეყნის ინტერესებისთვის და რეალურად დაეხმარება რუსეთს საკუთარი ინტერესების გატარებაში ჩვენს ქვეყანაში, – აცხადებს სალომე სამადაშვილი.

**პირველი რადიო**

# ბესელია: „არც პრეზიდენტი და არც ომბუდსმენი მხარე არ უნდა იყოს“



ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელია ციანიდის საქმეზე გაკეთებულ კომენტარებს ეხმიანება და აცხადებს, რომ მისი სურვილია, ამ საქმეში არც პრეზიდენტი და არც ომბუდსმენი მხარეები არ აღმოჩნდნენ.

– მე ვისურვებ, რომ არავინ აღმოჩნდეს მხარე ამ საქმეში, მათ შორის არც პრეზიდენტი, არც ომბუდსმენი. გარდა მართლაც მხარეებისა, არ უნდა იყოს მხარე. ეს ხელს უშლის პროცესს.

არ შეიძლება, ჩვენ ვიდგეთ რომელიმე მხარეს. ჩვენი პოზიცია უნდა იყოს, რომ სიმართლე დადგინდეს და გამოძიებას ხელოვნური ბარიერები მოვარიდოთ. ასეთი ბარიერები გაჩნდა პირველივე დღიდან.

ძალიან საეჭვოა, რომ რომელიმე პირი, ეს იქნება საჯარო პირი თუ მედიასაშუალება, ჩნდება, როგორც მხარე პროცესში და ეს იწვევს ძალიან ბევრ ეჭვს. ეს აზიანებს პროცესს და ბევრ კითხვას აჩენს, – განაცხადა ბესელიამ.

**პირველი რადიო**

# მარგველაშვილი: „ციანიდის საქმესთან დაკავშირებით უდანაშაულობის პრეზუმფცია დაირღვა“



– ციანიდის საქმესთან დაკავშირებით უდანაშაულობის პრეზუმფცია დარღვეულია.

ეს განცხადება საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა საპატრიარქოდან გამოსვლის შემდეგ გააკეთა.

ის მხარეთა თანასწორობის პრინციპის აუცილებლობაზე საუბრობს და აცხადებს, რომ დაცვის მხარეს უნდა ჰქონდეს საქმეზე საუბრის შესაძლებლობა.

– პირველ რიგში, მინდა ყველას გაგიზიაროთ სიხარული იმისა, რომ პატრიარქი დაბრუნდა საქართველოში, თავს გრძნობს მხნედ, ჯანმრთელად. პატრიარქთან ერთად ჩვენ შევხვდით ჩვენს მეუფეებს. მე დავესწარი ძალიან ღია და საინტერესო დისკუსიას იმ საკითხებთან მიმართებაში, რომელიც ეკლესიასთან მიმართებაში ვითარდება.

პატრიარქი ხელმძღვანელობს ამ ძალიან მნიშვნელოვანი თავყრილობას, პატრიარქი და მეუფეებიც ძალიან ღიად საუბრობენ არსებული სირთულეების შესახებ. ეს არის თათბირი, სადაც ყველას აქვს განსხვავებული, ღია დისკუსიის შესაძლებლობა, – განაცხადა პრეზიდენტმა.

**პირველი რადიო**

# ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის რეგისტრაცია 23 თებერვალს დაიწყება

გამოცდების ეროვნული ცენტრი

ერთიანი ეროვნული გამოცდებისა და სტუდენტთა საგრანტო კონკურსისათვის რეგისტრაცია 23 თებერვალს, 10:00 საათიდან დაიწყება.

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ინფორმაციით, ამავე დღეს გამოქვეყნდება ცნობარის ელექტრონული ვერსიაც.

ამასთან, შეფასებისა და გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა 2017 წლის აბიტურიენტთა ცნობარის ბეჭდური ვერსია გამოსცა.

2017 წლის „ცნობარი აბიტურიენტებისათვის“ ბეჭდური ვერსიის შეძენა მსურველებს თბილისსა და რეგიონებში პრესის ჯიხურებსა და რეალიზაციის პუნქტებში შეუძლიათ.

– ცნობარში მოცემულია ყველა ის ინფორმაცია, რომლითაც აბიტურიენტმა არჩევანის გაკეთებისას უნდა იხელმძღვანელოს, კერძოდ, სიახლეები, რეგისტრაციის ინსტრუქცია, განმარტება გამოცდებისა და ფაკულტეტების მითითების შესახებ, ინფორმაცია საგამოცდო პროცესის შესახებ, შედეგების გამოქვეყნებისა და აპელაციის პროცედურა, ჩარიცხვისა და გრანტირების წესი.

ცნობარში ასევე არის ცხრილი, რომელშიც მოცემულია უმაღლესი სასწავლებლების მონაცემები გამოცდების, მინიჭებული კოეფიციენტების, დადგენილი კვოტების, სწავლის საფასურისა და სხვა დეტალების შესახებ, – განმარტავენ შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრში.

**ინტერპრესნიუსი**

**გახდომა-გასუქება 5-20 კგ-ით თვეში!**

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

**სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე**

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. ქ-ნი ქეთევანი

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6

☎ 577-29-37-41, 247-58-83

# საფინანსო სექტორის ზედამხედველობის ფუნქცია ეროვნულ ბანკს უბრუნდება

## მეჭიაური: „მთავრობას უნდა ჰკითხოთ, რატომ შეიცვალეს პოზიცია“




— მთავრობის სხდომაზე ჩვენ წარვადგინეთ, ჯამში, 17 კანონისგან შემდგარი პროექტი, რომელიც საფინანსო სექტორის ზედამხედველობის ეროვნულ ბანკში დაბრუნებას ითვალისწინებს.

ამის შესახებ პირველმა ვიცეპრემიერმა, ფინანსთა მინისტრმა დიმიტრი ქუმსიშვილმა მთავრობის გუშინდელი სხდომის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

2015 წელს პარლამენტმა მიიღო კანონპროექტებში ცვლილება, რომლის მიხედვით, საფინანსო სექტორის ზედამხედველობა უნდა გადასულიყო დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიულ პირთან, საქართველოს საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოსთან. ამის შემდეგ საკონსტიტუციო სასამართლოში მოხდა აღნიშნული კანონპროექტების გასაჩივრება.

— ჩვენ რამდენჯერმე განვაცხადეთ, რომ ბოლო პერიოდში მომხდარი ცვლილებების შედეგად ვთვლიდით, რომ საფინანსო სექტორის ზედამხედველობა უნდა დაბრუნებულიყო ეროვნულ ბანკში. აქედან გამომდინარე, ჩვენ აღარ ველოდებით საკონსტიტუციო სასამართლოს მსჯელობას ამ საკითხზე და შესაბამისად, საქართველოს პარლამენტს წარვუდგენთ პირვანდელი სახით იმ კანონპროექტებს, რომელიც საფინანსო სექტორის ზედამხედველობას ეხება.

ვართ ძალიან აქტიურ პროცესში საერთაშორისო სავალუტო ფონდთან მოლაპარაკებებში, რომელთათვისაც ასევე ძალიან მნიშვნელოვანი და დადებითი მოვლენაა აღნიშნული გადაწყვეტილება, — განაცხადა ქუმსიშვილმა.

* * *

— ეროვნული ბანკისთვის საფინანსო სექტორის ზედამხედველობის დაბრუნების კანონპროექტის მომზადებაში ლომის წილი უდევს მაშინდელ მთავრობას, რომლის ზოგიერთი წევრი ახლაც მთავრობაშია.

ასე შეაფასა ბიზნესპრესნიუსთან საუბრისას თამაზ მეჭიაურმა ეროვნული ბანკისთვის საფინანსო სექტორის ზედამხედველობის ფუნქციის დაბრუნებაზე გაკეთებული განცხადება.

საუბარია 2015 წელს შემუშავებულ კანონპროექტზე, რომლის შედეგადაც სებ-ს ფინანსური ზედამხედველობის ფუნქცია გამოეყო და ცალკე სააგენტო ჩამოყალიბდა. კანონპროექტის ერთ-ერთი ავტორი თამაზ მეჭიაური იყო.

— თავის დროზე ამ კანონპროექტების ინიცირება ერთი მთავარი მიზეზით იყო განპირობებული — მაშინ არსებული სიტუაცია, სტრუქტურა, როგორითაც ეროვნული ბანკი საქმიანობდა, ერთი პოლიტიკური ჯგუფის მიერ მისი გამოყენების შესაძლებლობას იძლეოდა. კერძოდ, სებ-ი ნაციონალური მოძრაობის საყრდენი იყო.

შეიძლება, დღეს ეროვნული ბანკისა და მთავრობის წევრებს შორის არსებული ურთიერთობები ისეა დალაგებული, რომ ექსცესებისა და ეროვნული ბანკის პოლიტიკური მიზნებისთვის გამოყენების საფრთხეს ვერ ხედავენ, მაგრამ არ შეიძლება, კანონი პირად ურთიერთობებზე იყოს მორგებული, — აღნიშნა მეჭიაურმა.

მისივე შეფასებით, ჯობდა, ისე დარჩენილიყო, როგორც იყო და ეს ფუნქცია ეროვნული ბანკის ხელში არ ყოფილიყო.

— მათ უნდა ჰკითხოთ, რატომ შეიცვალეს პოზიცია? რადგან ეს წევრები კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილეობდნენ. ამ კანონპროექტის წინააღმდეგი არცერთი მთავრობის წევრი არ ყოფილა, ყოველ შემთხვევაში, ჩემთან არ გამოუხატავს, — ამბობს მეჭიაური.

* * *

აღნიშნულ ინიციატივას, რომლითაც ეროვნულ ბანკს ფინანსური ზედამხედველობის ფუნქცია ჩამოერთვა, პრეზიდენტი, ეროვნული ბანკი და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები ეწინააღმდეგებოდნენ. პრეზიდენტმა პარლამენტის მიერ მიღებულ კანონპროექტს ვეტოც დაადო, თუმცა პარლამენტმა ვეტო დაძლია, რის შემდეგაც გიორგი მარგველაშვილმა კანონპროექტს ხელი მოაწერა.

ამის შემდეგ საკითხმა საკონსტიტუციო სასამართლოში გადაინაცვლა, რომელმაც აღნიშნული კანონპროექტის მოქმედება საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე შეაჩერა.

# ავტომობილების ლიზინგით შეძენისას ჯარიმებს ლიზინგით მოსარგებლეები გადაიხდიან

შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოსთან ერთად ბიზნესომბუდსმენის აპარატი მუშაობს პროექტზე, რომელიც ავტოლიზინგის




დარგის ხელშეწყობისკენ არის მიმართული.

კერძოდ, როგორც ბიზნესომბუდსმენის მოვალეობის შემსრულებელმა ექსკლუზიურად ბიზნესკონტრაქტს განუცხადა, დღეს სამართალდარღვევების შემთხვევაში ჯარიმები მისდით თავად სალიზინგო კომპანიებს და არა — ლიზინგის მიმღებ პირებს. ახალი პროექტის მიხედვით კი, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, ლიზინგი დაექვემდებარება რეგისტრაციას.

შედეგად, სამართალდარღვევების დროს დაჯარიმდება არა სალიზინგო კომპანია, არამედ ლიზინგის მიმღები პირები.

— პროექტი დასრულების ეტაპზეა და ამ ინიციატივის ინიცირება უახლოეს პერიოდში მოხდება შსს-ს მიერ. ეს ეხება ვიდეო და ფოტო ჯარიმების, ასევე პარკირების ჯარიმების გავრცელებას არა სალიზინგო კომპანიებზე, არამედ ლიზინგის საგნის მიმღებზე.

სალიზინგო კომპანიები ავტოლიზინგის დროს მანქანებს გადასცემენ ლიზინგით რომელიმე პირს, თუმცა ვიდეოჯარიმის ან პარკირების ჯარიმის დროს, როცა მძღოლი გაურკვეველია და ვერ დგინდება, ვინ არის სამართალდამრღვევი, ჯარიმა ეკისრება მესაკუთრეს. ჯარიმდებიან სალიზინგო კომპანიები, რადგან ავტომობილების მესაკუთრეები ისინი არიან.

ვმუშაობთ შსს-თან, რომ ლიზინგი დაექვემდებაროს ნებაყოფლობით რეგისტრაციას. რეგისტრირებული ლიზინგის შემთხვევაში დაჯარიმდება ლიზინგის საგნის მიმღები და არა — სალიზინგო კომპანია, — განუცხადა ზურაბ ძნელაშვილმა ბიზნესკონტრაქტს.

***ელენე გოგბერაშვილი,***
***ბიზნესკონტრაქტი***

# კომერციული ბანკების ლიცენზირების წესში ცვლილება შევიდა




ეროვნული ბანკის პრეზიდენტ კობა გვენეტაძის 17 თებერვლის ბრძანებით, „კომერციული ბანკების ლიცენზირების წესში“ ცვლილებები შევიდა.

კერძოდ, საუბარია ერთი კომერციული ბანკის მიერ მეორის მიერთების პროცედურაზე.

როგორც ბრძანებაშია ნათქვამი, კომერციული ბანკის მიერთებაზე ეროვნული ბანკის თანხმობის მისაღებად წარდგენილ დოკუმენტაციას უნდა დაერთოს ასევე კომერციული ბანკების საერთო კრების გადაწყვეტილება მიერთების თაობაზე და ბიზნესგეგმა, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ამსახველი დოკუმენტების (ბალანსები, ანგარიშგებები) პროექტებს ერთი ბანკის მიერთებისას მეორეზე.

აღნიშნული დოკუმენტების განხილვის შემდეგ, არაუგვიანეს ერთი თვისა, ეროვნულმა ბანკმა გადაწყვეტილება უნდა მიიღოს და კომერციულ ბანკს წერილობით აცნობოს.

ბანკების მიერთების საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში, ეროვნული ბანკის შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე მიერთებული კომერციული ბანკის საბანკო საქმიანობის ლიცენზია გაუქმებულად ჩაითვლება, ხოლო იმ კომერციული ბანკის საბანკო საქმიანობის ლიცენზია, რომელმაც მიიერთა მეორე, უცვლელი რჩება.

ამასთან, ბრძანების მიხედვით, კომერციული ბანკის გაყოფა ორ ან რამდენიმე კომერციულ ბანკად განიხილება, როგორც ახალი კომერციული ბანკების წარმოქმნა და, შესაბამისად, მათი ლიცენზირება ამ წესისა და სათანადო კანონმდებლობის თანახმად უნდა მოხდეს.

***ბიპიენი***

# აუდიტორია 115: „ქართული ბანკები ყველა ბიზნესზე გავლენის მოპოვებას ცდილობენ“



აუდიტორია 115-ის წევრი ლევან ლორთქიფანიძე გადაცემა „პრიორიტეტში“ საქართველოში მოქმედ ბანკებზე საუბრობს და აცხადებს, რომ ბაზარზე არსებული მსხვილი მოთამაშეები ყველა ბიზნესზე გავლენის მოპოვებას ცდილობენ.

— თევზის ჭერიდან დაწყებული, ღვინის ბოთლის საცობებსაც კი აწარმოებენ. საცობების წარმოებაც კი აქვს საქართველოში რამდენიმე ბანკს. საცობებს რომ თავი დავანებოთ, ისინი უკვე ფლობენ ტბებს, მალე გადავლენ ზღვებზე და ასე შემდეგ. არიან ფარმაცევტულ ბიზნესში და ასე შემდეგ.

ნებისმიერი ადამიანისთვის ნათლად ჩანს, რომ საქართველოს საბანკო სექტორში ორი მთავარი ბანკია: „საქართველოს ბანკი“ და „თიბისი ბანკი“, რომლებიც ახერხებენ იმას, რომ ყველა რესურსს ხელში იგდებენ და ყველა რესურსზე გავლენის მოპოვებას ცდილობენ. აღსარებებს ჩააბარებინებენ ბიზნესმენებს, მოაყოლებენ მთელ თავიანთ გეგმას, შემდეგ ჩაიგდებენ ხელში იმ საწარმოს, თვითონ დააბანდებენ იქ ფულს. ასე გაგრძელება არ შეიძლება, — განაცხადა ლევან ლორთქიფანიძემ

***კომერსანტ.გე***

# ქართული ავეჯი გაზაფხულიდან ონლაინფორმატშიც გაიყიდება

ქართული წარმოების ავეჯი გაზაფხულიდან ონლაინფორმატშიც გაიყიდება.

როგორც „კომერსანტს“ კომპა-



ნია „ვუდმასტერის“ ხელმძღვანელმა კახაბერ ჯვარშეიშვილმა განუცხადა, ეს იქნება პორტალი, სადაც კომპანიის მიერ წარმოებული ყველა პროდუქტი განთავსდება.

ჯვარშეიშვილის განცხადებით, კომპანიის ძირითადი ორიენტირი ექსპორტია, შესაბამისად, ონლაინპორტალის ამოქმედებაც ამან განაპირობა.

ქარხანა რამდენიმე თვეა, სატესტო რეჟიმში მუშაობს, სერიულ წარმოებაზე გადასვლა კი 2 წელიწადში იგეგმება.

როგორც ჯვარშეიშვილი აცხადებს, წარმოების პარალელურად, ქარხნის მშენებლობა-რემონტიც მიმდინარეობს, რომელიც ასევე 2 წელიწადში დასრულდება.

რაც შეეხება სამომავლო გეგმებს, „ვუდმასტერის“ ხელმძღვანელი განმარტავს, რომ ევროპიდან საკმაოდ დიდი ინტერესია.

— პროექტის სახით პოტენციურ კლიენტებთან წარდგენილი გვაქვს პროდუქცია. ამან ევროპელ პარტნიორებში ძალიან დიდი ინტერესი გააჩინა, — აცხადებს ჯვარშეიშვილი.

კომპანია „ვუდმასტერმა“ მიმდინარე წელს სახელმწიფო პროგრამაში „აწარმოე საქართველოში“ მიიღო მონაწილეობა. კერძოდ, ქონების ეროვნულმა სააგენტომ სახელმწიფო პროგრამის ,,აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში შპს ,,ვუდმასტერს“ ზემო ფონიჭალაში 12.595 კვ.მ. მიწის ნაკვეთი სიმბოლურ ფასად, 1 ლარად გადასცა. მაშინ ითქვა, რომ დაგეგმილი იყო ავეჯის, მერქნისა და მისი ნაწარმის, ასევე ყველა სახის საათისა და მათი ნაწილების წარმოება.

კომპანიამ, საერთო ჯამში, 1.793.000 ლარის ინვესტიცია უნდა განახორციელოს.

***სოფო ქსოვრელი,***
***კომერსანტ.გე***

# სემეკი გაზის სატარიფო პოლიტიკის გადახედვას იწყებს



სემეკი ბუნებრივი აირის სატარიფო პოლიტიკის გადახედვას იწყებს.

საქართველოში ბუნებრივი აირის ტარიფის გადახედვა 5 წელია, არ მომხდარა. როგორც სემეკის წევრი გოჩა შონია ბიზნესკონტრაქტთან საუბრისას განმარტავს, ამ პერიოდის განმავლობაში ბევრი ცვლილება მოხდა სექტორში, მათ შორის ახალი მოთამაშეების ბაზარზე შესვლითა და ზოგიერთი მათგანის გაერთიანებით.

— იმისთვის, რომ მოხდეს რეალობასთან ახლოს მდგომი, სამართლიანი ტარიფების დადგენა, კომისიამ გადაწყვიტა, დაიწყოს სატარიფო რეგულირება. 10 წელი არ არის პატარა პერიოდი. ამ პერიოდში ცვლილებები შევიდა კანონმდებლობაშიც. კომისია სწორედ ამ მეთოდოლოგიის საფუძველზე მოახდენს ცვლილებას.

ტარიფის ცვლილებაზე საუბარი ძნელია, ტარიფის დადგენა ძალიან მოცულობითი სამუშაოა, უნდა გავაანალიზოთ დოკუმენტაცია, რომელიც კომპანიებმა კომისიაში წარადგინეს, — აცხადებს გოჩა შონია.

მისივე თქმით, ამ ეტაპზე კომისიას სატარიფო განაცხადი ორმა კომპანიამ წარუდგინა.

# ვერა ქობალია: „ვიზეარის თავმჯდომარე ქუთაისს კი არა, საქართველოს ვერ იხსენებდა“



— ქუთაისის აეროპორტი ჩვენთვის ძალიან საინტერესო იყო, თუნდაც ეს ბევრს თავიდან არ ესმოდა, — განაცხადა გადაცემა „საქმიან დილაში“ ეკონომიკის ყოფილმა მინისტრმა ვერა ქობალიამ.

მისი განცხადებით, ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც საერთაშორისო აეროპორტის აშენება ქუთაისში გადაწყდა, ტავ-თან დადებული ხელშეკრულება იყო, რომლის მიხედვითაც თბილისის აეროპორტიდან 100 კმ რადიუსში აეროპორტი არ უნდა აშენდეს.

კიდევ ერთ მიზეზად ქობალია ადგილზე ძველი ინფრასტრუქტურის არსებობასაც ასახელებს. ვერა ქობალიას განცხადებით, მეორე საერთაშორისო აეროპორტის აშენების მთავარი მიზანი დაბალბიუჯეტური ავიაკომპანიების ქვეყანაში შემოსვლა იყო. ერთ-ერთ მაგალითად მას ვიზეარი მოჰყავს.

— დღემდე ვმეგობრობ ვიზეარის თავმჯდომარესთან და ახლა უკვე სიცილით მიყვება ხოლმე, რომ ქუთაისი კი არა, საქართველო სად იყო, იმას ვერ იხსენებდა. რადგან მინისტრი ვიყავი, უარი ვერ მითხრა. როგორც ის ამბობს, ასეთ მოლაპარაკებებზე ავიაკომპანიის ხელმძღვანელები მიდიან ხოლმე. მან გადაწყვიტა, მხოლოდ იმის გამო შევხვედრილიყავით, რომ უხერხული იყო. იხსენებს ხოლმე, რომ ოთახიდან აღარ გავდიოდით, იმდენი ხანი ვარწმუნებდით, თუ რატომ იყო მათი მომავალი ქუთაისის მიმართულება.

რაც მთავარია, დღეს ისინი ამ ხელშეკრულებით ძალიან კმაყოფილი არიან. წლების წინ აპირებდნენ ჰაბის გაკეთებას, თუმცა სხვადასხვა მიზეზის გამო ეს გაიწელა. დღეს ეს კომპანია ქუთაისის აეროპორტიდან ფრენებს წარმატებულად აწარმოებს, — განაცხადა ვერა ქობალიამ.

***ბიზნესკონტრაქტი***

# ადვოკატი მიხეილ რამიშვილი: „მამა გიორგი მამალაძე დუმილს დაარღვევს“

ნათია ხურცილავა

დაკავებულ დეკანოზ გიორგი მამალაძის ახალი ადვოკატი მიხეილ რამიშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ციანიდის საქმის გარკვეულ დეტალებზე საუბრობს.

***– თქვენ განაცხადეთ, რომ პროკურატურამ გაუთქმელობის ხელწერილის დაწერა გთხოვათ.***

– არათუ მთხოვა, მომთხოვა. თუ ხელს არ მოვაწერდი გაუთქმელობის პირობაზე, მაშინ სისხლის სამართლის საქმეს აღძრავდნენ ჩემზე. მე კატეგორიულად უარი განვაცხადე ხელწერილის დადებაზე. შესაბამისად, ჯერჯერობით ვაგრძელებ ჩემზე დაკისრებულ მოვალეობას, რომ დავიცვა მამა გიორგი მამალაძის უფლებები. ჩემი მიზანია, სამართლიანად წარიმართოს მთელი პროცესი და არ დაირღვეს ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი პირის უფლებები, თუმცა, მოგეხსენებათ, თუ როგორ განვითარდა მოვლენები.

***– თქვენ განაცხადეთ, რომ მამა გიორგიმ დაგიბარათ საავადმყოფოში და ახლა სწორედ მასთან მიდიხართ. რასთან დაკავშირებით, შეგიძლიათ გვითხრათ?***

– დიახ, ახლა კლინიკაში მივდივარ მამა გიორგისთან, თუმცა არ ვიცი, კონკრეტულად რა საკითხზე დამიბარა.

***– ბატონო მიხეილ, რატომ ინარჩუნებს დღემდე დუმილის უფლებას მამა გიორგი? როგორც აქამდე იყო ცნობილი, მას სურდა კურთხევის მიღება სასულიერო პირებისგან. შემდეგ გაირკვა, რომ კურთხევა არ ყოფილა საჭირო. ეს ტაქტიკაა?***



– ძალიან მალე გაიგებთ ყველაფერს.

***– რას გულისხმობთ?***

– ძალიან კონკრეტულად იქნება ყველაფერი საზოგადოებისთვის ცნობილი. რაღაც საკითხებს შევათანხმებთ და მივიღებთ გადაწყვეტილებას.

***– შესაძლებელია, რომ დუმილი დაარღვიოს?***

– რა თქმა უნდა, შესაძლებელია. ჩვენ მივიღებთ გადაწყვეტილებას და მამა გიორგი აბსოლუტურად ყველაფერზე ისაუბრებს. ის დაარღვევს დუმილს.

***– როდის?***

– კონკრეტულად დროს ვერ დაგისახელებთ, თუმცა საუბარია უახლოეს მომავალზე.

***– რა მიმართულებით ისაუბრებს?***

– მამა გიორგი რა ჩვენებას მისცემს, მე არ ვიცი წინასწარ.

***– შესაძლებელია, ჩვენება კლინიკაში ჩამოართვან?***

– რა თქმა უნდა, შესაძლებელია. ადამიანს როდესაც ჩვენების მიცემა სურს, არ აქვს მნიშვნელობა, სად მისცემს ის ამ ჩვენებას – საავადმყოფოში, საგამოძიებო ორგანოში თუ სასჯელაღსრულების დაწესებულებაში.

***– თქვენ განაცხადეთ, რომ ბრალდებაში საუბარი არ არის არანაირ სასულიერო პირზე და არც მაღალ იერარქზე. ვისზეა საუბარი ბრალდებაში?***

– მე გიდასტურებთ, რომ არანაირ სასულიერო პირზე და არც მაღალ იერარქზე ბრალდებაში საუბარი არ არის. ბრალდებაში საუბარია მხოლოდ და მხოლოდ ქალბატონ შორენა თეთრუაშვილზე.

***– ბრალდება თქვენ ნახეთ თუ მხოლოდ მამა გიორგისგან იცით?***

– ყველა ბრალდებულმა, რომელსაც ბრალდებას უყენებენ, იცის, თუ რას ედავება გამოძიება. მას კონკრეტულად ეუბნებიან, რაშია ბრალდებული. მამა გიორგი არის ის ადამიანი, რომელმაც ძალიან კარგად იცის, თუ რაზე უყენებენ მას ბრალს. ამ ბრალდებაში მოხსენიებულია მხოლოდ ქალბატონი შორენა და არანაირი სასულიერო ან მაღალი იერარქი.

***– თქვენ რა ინფორმაცია გაქვთ, პატრიარქთან შეხვედრა გაიმართება?***

– ვერაფერს გეტყვით, თუმცა, შემიძლია გითხრათ, რომ ეს მოთხოვნა აქვს მამა გიორგის. რამდენადაც ვიცი, იგივე მოთხოვნა აქვს პატრიარქს. შედგება თუ არა ეს შეხვედრა, დამოკიდებულია საპატრიარქოზე. ამას პატრიარქი გადაწყვეტს.

***– პრეზიდენტმა განაცხადა, რომ თანასწორობის პრინციპი და უდანაშაულობის პრეზუმფცია დარღვეულია. რა მიმართულებით განახორციელებთ თქვენს უფლებამოსილებას, რა ტაქტიკას აირჩევთ?***

– დარღვეულია თანასწორობის პრინციპი. სახელმწიფო ბრალდება და დაცვის მხარე არ ვიმყოფებით თანაბარ პირობებში და სწორედ აქედან გამომდინარეა დარღვეული თანასწორობის პრინციპი, რაც ნამდვილად დიდი პრობლემაა. არ შეიძლება, თანაბარ პირობებში არ ვიყოთ.

თუ გაუთქმელობის პირობა უნდა იყოს დაცული, მაშინ გაუთქმელობის პირობა ორივე მხრიდან უნდა იყოს დაცული. ერთი მხრიდან კეთდებოდეს განცხადებები და მეორე მხარე ჩუმად იყოს, ეს შეუძლებელია. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენ მივიღებთ სრულიად არაობიექტურ პროცესს. აქამდე დაცვის მხარე შეზღუდული იყო, რომ საზოგადოებისთვის თავისი ვერსია მიეწოდებინა, რადგან გაუთქმელობის ხელწერილი ჰქონდათ დადებული. ეს, ცხადია, იწვევს დისბალანსს.

თავიდან ბოლომდე ვეთანხმები პრეზიდენტის ამ განცხადებას. გამომძიებლის დიდი სურვილის მიუხედავად, რომ გაუთქმელობის პირობაზე მომეწერა ხელი, მე ამაზე კატეგორიული უარი განვაცხადე, მიუხედავად იმ დაშინებისა, რომ შეიძლება, ჩემ წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღიძრას.

საზოგადოებამ იცის, რომ სხვა ადვოკატებს აქვთ ხელი მოწერილი გაუთქმელობის პირობაზე. ახლა პროკურატურის გადასაწყვეტია, მოუხსნიან ადვოკატებს ამ ვალდებულებას თუ არა. ჩემმა კოლეგებმა არაერთხელ მიმართეს განცხადებით პროკურატურას, მაგრამ, სამწუხაროდ, აქამდე პასუხი არ მიუღიათ. ახლა გამოჩნდება



პროკურატურისგან, რამდენად აფასებს პრეზიდენტის რჩევასა და მის სიტყვას.

***– რაც შეეხება მამა გიორგის ჯანმრთელობის მდგომარეობას, როგორ არის და როდემდე შეიძლება, კლინიკაში დარჩეს?***

– ჯერ კლინიკიდან გაწერაზე არ არის საუბარი. ექიმებმა კონსილიუმი მოიწვიეს და გადაწყდა, რომ სავალდებულოა, თოდუას სახელობის კლინიკაში გადაიყვანონ, რადგან გამოკვლევებია საჭირო თავზე, კონკრეტულად კი საჭიროა თავის ტომოგრაფია, შემდეგ კი კვლავ ჩაფიძის სახელობის კლინიკაში დააბრუნებენ.

***– თავზე პრობლემები აქამდე ცნობილი არ იყო, რატომ გახდა საჭირო ამ მიმართულებით სამედიცინო კვლევა?***

– შესაძლებელია, რომ გარკვეული პრობლემები აღმოჩნდეს თავზე და ამიტომ არის კვლევები ამ მიმართულებით საჭირო, როგორც ექიმები აცხადებენ.

## გიორგი ფანცულაია: „პროკურატურის მასალებში მამა გიორგის რაიმე დანაშაული არ ჩანს“



– პროკურატურის მიერ წარმოდგენილ მასალებში მამა გიორგის რაიმე დანაშაული არ ჩანს.

ამის შესახებ დეკანოზ გიორგი მამალაძის ადვოკატმა გიორგი ფანცულაიამ განაცხადა. მისივე თქმით, მამა გიორგი სხვადასხვა საექსპერტო გამოკვლევაში მონაწილეობას არ გაურბის.

– 20 თებერვალს მოსული იყო გამომძიებელი სხვადასხვა საექსპერტო ნიმუშის ასაღებად. მამა გიორგი არ გაურბის ამას, საჯაროდ თქვა და ოქმშიც დააფიქსირა, რომ ის აუცილებლად მიიღებს ამაში მონაწილეობას, როცა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა მისცემს ამის საშუალებას.

ისიც დააფიქსირა, რომ კანონით გათვალისწინებულ ვადებს არ გადააცილებს. ბრალდებულმა ყველა მასალის შესახებ იცის, რაც აქვს პროკურატურას. თუ რამდენადაა ეს მასალები მტკიცებულება, ამის შესახებ სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს, – განაცხადა გიორგი ფანცულაიამ.

## ყაზახეთის მოქალაქეს დიდი ოდენობით ნარკოტიკი უპოვეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით, ყაზახეთის რესპუბლიკის მოქალაქე, 1972 წელს დაბადებული ბ.ა. თბილისში დააკავეს.

სამართალდამცველებმა, დაკავებულის პირადი და საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას, 180 აბი ნარკოტიკული საშუალება „მდმა“ ამოიღეს.

გამოძიება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე მიმდინარეობს.

## ეროვნული ფორუმის წევრის შვილს პოლიციის უფროსმა სცემა?

„დაბეჟილი და სასტიკად ნაცემია“

ეროვნული ფორუმის წევრი ავთო დავითაძე აცხადებს, რომ გვიან ღამით მის შვილს გიორგი დავითაძეს ვაკე-საბურთალოს პოლიციის უფროსმა სცემა.

დავითაძის ინფორმაციით, მისი შვილი ვაკე-საბურთალოს პოლიციაში მივიდა, რადგან მისი მეგობრები იქ ჰყავდათ გადაყვანილი.

ეროვნული ფორუმის წევრის განცხადებით, პოლიციის უფროსმა გიორგი გალდავამ, გიორგი დავითაძე თავად შეიყვანა პოლიციის შენობაში, საიდანაც ის ნაცემი გამოვიდა.

– მოსულა ვაკე-საბურთალოს სამმართველოს უფროსი გალდავა, დაუნახავს, რომ ჩემი შვილი იქ არის. გადაუხვევია ხელი, აუყვანია კაბინეტში, ამის მხილველები არიან იქ ძალიან ბევრი ადამიანი, ვინც იდგა, ახლობლები და გულშემატკივრები ჩემი შვილის მეგობრის და დიდხანს რომ არ ჩამოვიდა იქიდან, ბიჭებმა მიმართეს ზომებს და გამოიძახეს სასწრაფოდ ადვოკატი. მოვიდა ადვოკატი და ამ დროს გამოდის ჩემი შვილი ნაცემი, დაბეჟილი, სასტიკად უცემია პირადად პოლიციის უფროს გალდავას და რამდენიმე თანამშრომელი ყოფილა იქ, – აცხადებს ავთანდილ დავითაძე.



ახალგაზრდა მამაკაცი „ელიზაბეტ ბლექველის ჰოსპიტალში“ იმყოფება. მედიკოსებს მისი ჯანმრთელობის შესახებ კომენტარი არ გაუკეთებიათ.

## მამაკაცს ქართველი ქალი თურქეთში ჩემოდნით გადაჰყავდა




თურქეთის პოლიციამ ართვინის პროვინციაში, საზღვართან საქართველოს ორი მოქალაქე დააკავა. მამაკაცს 28 წლის ქალი საზღვარზე ჩემოდნის საშუალებით გადაჰყავდა.

სამართალდამცავებმა ბარგი საეჭვოდ მიიჩნიეს და მფლობელს მისი გახსნა მოსთხოვეს. გახსნის შემდეგ აღმოჩნდა, რომ ჩემოდანში ქალი იჯდა.

ექვმიტანილებმა საზღვარი სარფში გადალახეს, ისინი ჰოფაში აიყვანეს.

დაკითხვისას გაირკვა, რომ ქალის დეპორტაცია თურქეთიდან სამი თვის წინ განხორციელდა, ვიზის მოქმედების გასვლის მიზეზით.

## დააკავეს კონტრაბანდული ხიზილალა

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის მიერ საქართველოს სახელმწიფო საბაჟო საზღვარზე, დიდი ოდენობით კონტრაბანდული ხიზილალის შემოტანის ფაქტია აღკვეთილი.

გამოძიებით დადგენილია, რომ საქართველოს მოქალაქემ, მისი მართვის ქვეშ მყოფი ავტომანქანით, რუსეთის ფედერაციიდან საქართველოში, საბაჟო გამშვები პუნქტი „ყაზბეგის“ გავლით, საბაჟო კონტროლისაგან მალულად, ავტომანქანაში არსებული სამალავებით შემოიტანა დიდი ოდენობით ხიზილალა.

საგამოძიებო სამსახურმა ბრალდებულის მიერ საქართველოში შემოტანილი დიდი ოდენობის კონტრაბანდული პროდუქცია ნივთმტკიცების სახით ამოიღო.

საქმეზე გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სსკ-ის 214-ე მუხლის პირველი ნაწილით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს 3-დან 5 წლამდე თავისუფლების აღკვეთას.



## მთვრალმა მძღოლებმა ბიუჯეტში თითქმის 9 მილიონი შეიტანეს

ალკოჰოლური სიმთვრალის გამო ადმინისტრაციული სახდელდადებული 30.655 მძღოლიდან 8 ათასზე მეტმა ავტომფლობელმა სახელმწიფო ბიუჯეტში ჯამში 8.914.400 ლარი შეიტანა.

როგორც ინტერპრესნიუსის მიერ შსს-დან გამოთხოვილ სტატისტიკურ მონაცემებშია აღნიშნული, ჯამში 2016 წელს ალკოჰოლური სიმთვრალის მდგომარეობაში ავტომანქანის მართვის გამო 30.655 მძღოლი დაჯარიმდა, რომელთაგან 22.538 პირისთვის ადმინისტრაციული სამართალდარღვევა პირველი იყო და კანონის თანახმად, მათ მართვის მოწმობა 6 თვით ჩამოერთვათ.

რაც შეეხება დარჩენილ 8 ათასზე მეტ მძღოლს, ისინი ნასვამ მდგომარეობაში ავტომანქანის განმეორებითი მართვის, მართვის მოწმობის ჩამორთმევის პირობებში, ნასვამ მდგომარეობაში მანქანის მართვის, წინასწარი შეცნობით ალკოჰოლური სიმთვრალის მდგომარეობაში მყოფი პირისთვის სატრანსპორტო საშუალების სამართავად გადაცემისა და სხვა მსგავსი სამართალდარღვევისთვის დაჯარიმდნენ.

ყველაზე მეტი ჯარიმა, 3.508.000 ლარი იმ მძღოლებს დაეწერათ, რომლებიც ავტომანქანას, მართვის მოწმობის არქონის პირობებში, ალკოჰოლური სიმთვრალის მდგომარეობაში მართავდნენ.

აღნიშნული ქმედების განმეორებით ჩადენისთვის კი 669 მძღოლმა ბიუჯეტში ჯამში 1.003.000 ლარი გადაიხადა.

ძვალ-სახსართა პრობლემების:

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38
ქალბატონი ქეთათო

# გენერალი მაკმასტერი ტრამპის მრჩეველი გახდა



პრეზიდენტმა ტრამპმა საკმაო ყოყმანის შემდეგ არჩევანი გააკეთა და ეროვნული უშიშროების დარგში ახალი მრჩეველი დანიშნა. ეს პოსტი გენერალმა მაკმასტერმა დაიკავა. რაც შეეხება გენერალ კელოგს, ის ეროვნული უსაფრთხოების აპარატს ჩაუდგება სათავეში.

მაკმასტერი ამერიკულ სამხედრო წრეებში ცნობილია, როგორც სტრატეგი. მან სახელი გაითქვა იმით, რომ თავის დროზე ობამას ადმინისტრაცია გააფრთხილა რუსეთიდან მომდინარე საფრთხის შესახებ. გენერალმა პირველმა განაცხადა, რომ რუსეთის არმიას გააჩნია ყველა საშუალება საიმისოდ, რომ ეფექტური ჰიბრიდული ოპერაციები განახორციელოს. გამართლდა მაკმასტერის პროგნოზი იმის შესახებაც, რომ რუსეთი შეეცდება, აღადგინოს კონტროლი უკრაინაზე, ხოლო სირიის ხელისუფლებაში ასადის რეჟიმი შეინარჩუნოს.

დღეს რუსული საფრთხის პრობლემა მთელი მსოფლიოს მასშტაბით მწვავედ დგას. ტრამპმაც საკმაო ყოყმანის შემდეგ არჩევანი შეაჩერა არა დიპლომატზე, არამედ პროფესიონალ სამხედროზე, რომელიც რუსულ სამხედრო მანქანას კარგად იცნობს.

# ილჰამ ალიევმა თავისი მეუღლე აზერბაიჯანის პირველ ვიცეპრეზიდენტად დანიშნა



აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა თავისი მეუღლე მეჰრიბან ალიევა ქვეყნის პირველ ვიცეპრეზიდენტად დანიშნა.

გასული წლის 26 სექტემბერს აზერბაიჯანში რეფერენდუმი ჩატარდა კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის შესახებ, რომლის თანახმადაც, ერთ-ერთი საკითხი



ვიცეპრეზიდენტის თანამდებობის შემოტანას ითვალისწინებდა.

— სრულად ვაცნობიერებ ჩემზე დაკისრებული პასუხისმგებლობის სერიოზულობას. ბატონო პრეზიდენტო, მჯერა, რომ თქვენსა და ყველა იმ ხალხის, ვისაც ჩემი სჯერა, ნდობას გავამართლებ, — განაცხადა მეჰრიბან ალიევამ აზერბაიჯანის უშიშროების საბჭოს სხდომაზე.

# ვიტალი ჩურკინი გარდაიცვალა



მოულოდნელად გარდაიცვალა რუსეთის წარმომადგენელი გაეროში ვიტალი ჩურკინი.

ჩურკინი რუსეთის საელჩოს ტერიტორიაზე იმყოფებოდა, როცა უეცრად ცუდად იგრძნო თავი. ჩურკინმა გონება დაკარგა და საავადმყოფოში უგონო მდგომარეობაში წაიყვანეს. ნახევარი საათის შემდეგ ჩურკინი გარდაიცვალა.

ერთი დღის შემდეგ ჩურკინს 65 წელი შეუსრულდებოდა.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# ჩხრეკა საფრანგეთის ნაციონალური ფრონტის ოფისში



ქალაქ ნანტერში (პარიზის მახლობლად) პოლიციამ ნაციონალური ფრონტის იქაური ფილიალის ოფისში ჩხრეკა მოაწყო.

ფრონტის ლიდერმა მარინ ლე პენმა განაცხადა, რომ ჩხრეკა იუსტიციის მინისტრ ტობირის ბრძანებით განხორციელდა.

— ხელისუფლება ცდილობს, დარღვევებზე გამოგვიჭიროს, — აცხადებს მარინ ლე პენი.

უკანასკნელი გამოკითხვებით, მარინ ლე პენმა მეორე ადგილზე გადაინაცვლა. პირველზე ევროოპტიმისტი მაკრონია.

# ავსტრალიაში პატარა თვითმფრინავი სავაჭრო ცენტრს დაეცა




ტრაგიკული შემთხვევა მოხდა ავსტრალიაში, კერძოდ კი მელბურნში, სადაც პატარა თვითმფრინავი, რომელშიც 5 ადამიანი იმყოფებოდა, ერთ-ერთ სავაჭრო ცენტრს დაეცა.

შემდეგად თვითმფრინავზე მყოფი ხუთივე ადამიანი დაიღუპა.

მათ შორის იყო 70 წლის გრეგ რეინოლდსი, რომელიც 30 წლის განმავლობაში ამერიკის შეერთებული შტატების გამოძიების ფედერალური ბიუროს აგენტი იყო.

ავსტრალიის პრემიერ-მინისტრმა მალკოლმ ტარნბულმა მომხდარის გამო მწუხარება გამოთქვა.

აღსანიშნავია, რომ იმ დროს, როდესაც თვითმფრინავი სავაჭრო ცენტრს დაეცა, სავაჭრო ცენტრში არავინ იმყოფებოდა, რადგან ავიაკატასტროფა დილის 9 საათზე მოხდა.

ჯერჯერობით უცნობია, თუ რამ გამოიწვია თვითმფრინავის ჩამოვარდნა და შესაძლო მიზეზები რამდენიმე დღეში გახდება ცნობილი.

სავაჭრო ცენტრს ამ ინციდენტის გამო უზარმაზარი ზიანი მიადგა და მის აღდგენას, სავარაუდოდ, დიდი დრო დასჭირდება.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

# კიანუ რივზს ბავშვები არასოდეს ეყოლება

ჰოლივუდის მსახიობმა კიანუ რივზმა განაცხადა, რომ ბავშვებს არასოდეს იყოლიებს. ამ ინფორმაციას გამოცემა ესქვაირი ავრცელებს.

2000 წელს მსახიობსა და მის პარტნიორს ჯენიფერ საიმს ეყოლათ გოგონა, სახელად ავა არჩერ საიმ-რივზი, რომელიც მკვდარი დაიბადა. ამის შემდეგ რივზი და საიმი ერთმანეთს დაშორდნენ. 2001 წელს საიმი ავტოავარიაში დაიღუპა.

2017 წელს ეკრანებზე გამოვა ფილმი „რეპროდუქცია“, რომელშიც მსახიობი ასრულებს მეცნიერის როლს, რომელიც ავარიაში დაღუპული ოჯახის დაბრუნების იდეითაა შეპყრობილი.



ჟურნალისტებთან საუბარში, რომელიც მის მომავალს შეეხებოდა, კიანუ რივზმა განაცხადა:

— მე უკვე 52 წლის ვარ და ბავშვების ყოლას არ ვაპირებ. არავითარი ბავშვები!

კომენტარზე, რომ ადამიანების ცხოვრებაში ბავშვები უკვე ნებისმიერ ასაკში ჩნდებიან და მაგალითად მიკ ჯაგერი დაუსახელეს, რომელსაც არც ისე დიდი ხნის წინ კიდევ ერთი ბავშვი შეეძინა, რივზმა უპასუხა, რომ ჯაგერი დროებას არ ექვემდებარება.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


## განცხადება

2017 წლის 17 აპრილს, 12 საათზე, ქ.გარდაბნის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში (მის: ქ.გარდაბანი, აღმაშენებლის ქუჩა №127) გაიმართება შპს „კომპანია ბლექ სი გრუპის“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ სააკაძეში დაგეგმილი საქმიანობის გზშ ანგარიშის პროექტის საჯარო განხილვა.

დაგეგმილი საქმიანობის მიზანს წარმოადგენს ასფალტის წარმოება.

**საზოგადოების წარმომადგენლებს საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართზე:**

**ქ.გარდაბანი, სოფ.სააკაძე, კომპანიის ოფისი, ტელ: 595-08-96-46.**

საზოგადოების წარმომადგენლების მოსაზრებების წარდგენის ბოლო ვადაა საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებიდან 45 დღე.

**საკონტაქტო პირი — ქეთევან ნადირაშვილი**
**ტელ: 595-08-96-46**


# მარინ ლე პენმა ბეირუთის მუფთისთან შეხვედრაზე თავსაბურავი არ გაიკეთა

## შეხვედრა ამის გამო ჩაიშალა

საფრანგეთის პრეზიდენტობის კანდიდატ მარინ ლე პენისა და ბეირუთის უმაღლესი მუფთის შეხვედრა იმის გამო ჩაიშალა, რომ ლე პენმა თავსაბურავის გაკეთებაზე უარი თქვა.



ლე პენის თქმით, მას თავსაბურავი არ დასჭირვებია ეგვიპტეში მუსლიმანური უნივერსიტეტის შეიხთან შეხვედრისას და ის არც ამჯერად აპირებდა მის გაკეთებას.

ამის შემდეგ საფრანგეთის პრეზიდენტობის კანდიდატმა ბეირუთის სასულიერო ადმინისტრაცია დატოვა.

სასულიერო ადმინისტრაციის პრესსამსახურმა განაცხადა, რომ ლე პენი წინასწარ იყო გაფრთხილებული თავსაბურავის შესახებ და ისინი გაოგნებულები არიან მისი საქციელით.

თავის მხრივ, ლე პენმა დაამატა, რომ არ უნდა არსებობდეს მსგავსი შეზღუდვები და ვალდებულებები, ამიტომ მან საჭიროდ არ ჩათვალა, წესებს დამორჩილებოდა.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**


**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.
მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**



## განცხადებები

### გთავაზობთ სამსახურს

● გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.

● რუსულენოვან კომპანიას ესაჭიროება უფროსის მოადგილე. სამუშაო გამოცდილება აუცილებელია. ტელ: 579-02-49-90.

### მკურნალობა

● კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა — შედეგები 100%-იანია. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით — იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) — მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან — შედეგები 100%-იანი. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის ადენომის (ავთვისებიანი გადაგვარების დროსაც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობის, წვის, შარდვისას ტკივილის, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

# ჟოზე მოურინიო: „პოგბა ხელში იაფად ჩავიგდეთ“



მანჩესტერ იუნაიტედის მთავარი მწვრთნელი ჟოზე მოურინიო მიიჩნევს, რომ სატრანსფერო ბაზარზე ინფლაცია მალე ხალხს დაარწმუნებს პოლ პოგბას ღირებულების სიიაფეში.

გემახსოვრებათ, გასულ სეზონში იუვენტუსიდან პოგბას დასაბრუნებლად „წითელმა ეშმაკებმა“ ახალი სატრანსფერო რეკორდი დაამყარეს და ფეხბურთელში 110 მილიონი ევრო გადაიხადეს. ჟოზე ძალიან კმაყოფილია ამ შენაძენით და სულაც არ მიიჩნევს ძვირად.

**ჟოზე მოურინიო:**

– მე კმაყოფილი ვარ მისი ასპარეზობით. დაუჯერებელ ბალანსს გვძენს და ჯერ კიდევ ახალგაზრდაა. თამაშს დაცვიდან აგებს, ბურთსართმევს, მეტოქის კარში გოლების გატანა შეუძლია. დიდებული ფეხბურთელი გახდება და მიმაჩნია, რომ რამდენიმე წელიწადში მიხვდებით, რა იაფად გვერგო.

პოგბას გარდა, ჟოზე მოურინიოს ასევე ეიმედება ნახევარმცველ ლუკ შოუსი. 21 წლის ფეხბურთელმა გასულ სეზონში ფეხის ორმაგი მოტეხილობა მიიღო, რის შემდეგაც დიდი დრო დასჭირდა გამოსაჯანმრთელებლად.

ტრავმის მოშუშების შემდეგ შოუ თავგამოდებით შრომობს იმისათვის, რომ „ოლდ ტრაფორდის“ მკვიდრთა სამწვრთნელო შტაბი სათამაშო პრაქტიკის მიღების უფლებაში დაარწმუნოს.

ახალგაზრდა მცველი ჯერ ვერ იღებს რეგულარულ სათამაშო პრაქტიკას და ამის გამო ხშირად იწერება, რომ შოუ მანჩესტერს დატოვებს, თუმცა პორტუგალიელი სპეციალისტი მას ჯერ კიდევ განიხილავს თავის გეგმებში და აცხადებს, რომ შოუ არსად წავა – ეს მის გეგმებში არ შედის.

# რენატო სანჩესი: „ბენფიკიდან წასვლა ტიტულების გამო გადავწყვიტე“

2016 წელს ევროპის ჩემპიონატის საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელად პორტუგალიელი რენატო სანჩესი იქნა დასახელებული, ალბათ, სამართლიანად, რადგან მაღალი კლასის ფეხბურთი აჩვენა და გასაკვირი არც ის იყო, რომ მიუნხენის ბაიერნმა გადაიბირა.



თუმცა, მიუნხენში სანჩესს საქმეები კარგად არ წაუვიდა – უკვე ნახევარ წელზე მეტია, გუნდშია და 17 თამაშში არცერთი გოლი და არცერთი საგოლე პასი არ აქვს გაკეთებული.

***– ბენფიკიდან თქვენი წასვლის მიზეზი რა იყო?***

– არც კი მახსოვს, ბოლოს როდის ვიტირე. მაგრამ ბენფიკიდან წასვლის დროს ნამდვილად მომდიოდა ცრემლები. ეს ძალიან რთული იყო, რადგან იქ მეგობრები შევიძინე. შესაბამისად, თუ სურვილი გაქვს, რომ უმაღლეს დონეზე თამაშობდე, ყოველთვის უნდა მიიღო ახალი გამოწვევები. ბენფიკის დატოვებამ არ დამასევდიანა. მე ის გავაკეთე, რაც უნდა გამეკეთებინა. როგორც ბენფიკის გულშემატკივარს, დარჩენა მეწადა, მაგრამ წავედი, რადგან ბევრი ტიტულის მოგება მსურს.

***– ბაიერნში თქვენი მოთხოვნა იყო, 35-ნომრიანი მაისური მოეცათ.***

– ბენფიკაში 85 ნომერს ვატარებდი, რადგან 8-იანი ფიგურირებდა მასში, რომელიც ნახევარმცველისთვის არის განკუთვნილი. ამ ნომრის შენარჩუნება მინდოდა, მაგრამ ბუნდესლიგაში მხოლოდ 40-მდეა დაშვებული ციფრები. 35 ნომერიც 8-ის ჯამია და, ამასთან ერთად, ბენფიკაზეც ვიფიქრე – მათ 35 ტიტული მოიგეს და 35-ე ტიტულში მე მივიღე მონაწილეობა.

***– მიუნხენში როგორ მოეწყვეთ?***

– ეს არც ისეთი ადვილი იყო, მაგრამ ახლა უკეთესად შემიძლია, მხარი დავუჭირო ჩემს მშობლებსა და ძმებს. ქვეყნის გამოცვლა ჩემთვის დიდი ცვლილება იყო, მაგრამ, თუ შემდეგი ნაბიჯის გადადგმა გსურს, ამგვარი სიტუაციებისათვის მზად უნდა იყო. ახლა გერმანულ სოსისს უფრო მეტს მივირთმევ, ვიდრე პორტუგალიურ ღორის სენდვიჩს. ინგლისურად ისე კარგად ვერ ვლაპარაკობ და გერმანულად – კიდევ უფრო ნაკლებად. პირველი, რაც ვისწავლე, ეს გმადლობთ და დილა მშვიდობისა იყო.

***– მიუნხენის ბაიერნში ვის დაუმეგობრდით?***

– ხალხი ფიქრობს, რომ ჩვენ ვარსკვლავებით სავსე გუნდი ვართ, სინამდვილეში კი საკმაოდ მოშვებულები და მშვიდები ვართ. ძალიან კარგად მიმიღეს გუნდში. რა თქმა უნდა, იმ ფეხბურთელებთან უფრო მეტ დროს ვატარებ, რომლებიც პორტუგალიურად ლაპარაკობენ, მაგრამ ასევე ალაბასთან და რიბერისთან ვურთიერთობ ბევრს. ისინი ძალიან დამეხმარნენ.

***– პორტუგალიიდან ახალგაზრდა წამოხვედით. მშობლები ნერვიულობენ?***

– მამაჩემი ხშირად არ იმყოფება მიუნხენში, მაგრამ ის კარგი მამაა, დედაჩემმა კი ყველაფერი მომცა. მისი დამსახურებაა ის, ახლა სადაც ვიმყოფები, თუნდაც, უბრალოდ, მათი მოთმინებისა და ძალისხმევის გამო. მე არცერთ გადაწყვეტილებას არ ვიღებ მშობლების გარეშე. ასევე მსურს, ჩემს ძმებსა და ბიძაშვილებს ვუხელმძღვანელო და სწორ გზაზე დავაყენო. ფეხბურთი კარგად ზრუნავს შენზე და გშველის.

# ისკოს ინგლისში ელიან



მადრიდის რეალის ნახევარმცველი ისკო ალკორკონი სეზონის ბოლოს, სავარაუდოდ, რეალს დატოვებს.

ისკომ ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა, რომ ჯერ არ იცის, სად გააგრძელებს თავის კარიერას და, შესაძლოა, ეს გუნდი რეალი არ იყოს.

ისკოს შეძენა ბევრ კლუბს სურს, მაგრამ განსაკუთრებით ინგლისური ფეხბურთის გრანდები მანჩესტერ სიტი და ჩელსი აქტიურობენ.

რეალს თავისი ნახევარმცველის გაყიდვა 24 მილიონ ევროდ სურს, მაგრამ ამ ფასმა, შესაძლოა, დაიკლოს კიდეც, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ისკოს მომავალ წელს კონტრაქტი უმთავრდება.

ისკოს გარდა, რეალი ალვარო მორატას გაყიდვასაც აპირებს.

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*

# ნეიმარს სასამართლო ემუქრება

ესპანური მედიის ცნობით, ბარსელონის თავდამსხმელ ნეიმარ და სილვას აპელაცია უარყოფილია და ბრაზილიელი სასამართლოს წინაშე წარდგება.

იმ საინვესტიციო კომპანიის ხელმძღვანელები, რომელიც 2013 წელს ნეიმარის სანტოსიდან ბარსელონაში ტრანსფერის 40%-ს ფლობდა, დარწმუნებულნი არიან ბრაზილიელი ფეხბურთელისა და მისი მამის თაღლითობაში.

თავდაპირველად გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით, ტრანსფერი 57 მილიონი ევროს სანაცვლოდ შედგა, შემდგომში კი ცნობილი გახდა, რომ დასახელებული თანხა საგრძნობლად შემცირებულია. ხელმძღვანელებს ამის გამო ნეიმარის დასჯა სურთ.

პროკურორების მიზანია ნეიმარის თავისუფლების აღკვეთა 2 წლით და ასევე ფულადი ჯარიმა 10 მილიონი ევროს სახით. ნაკლებად მოსალოდნელია, რომ ფეხბურთელი ამ ვადას ციხეში მოიხდის.

ბარსელონა და სანტოსი კი 15 მილიონი ევროთი დაჯარიმდებიან.



# თბილისი უეფას სამიტს უმასპინძლებს

თბილისი კიდევ ერთ მნიშვნელოვან ღონისძიებას უმასპინძლებს. 2017 წლის 1-2 მარტს თბილისში, სასტუმრო „ბალთმორში“, უეფას ორგანიზებითა და ევროსაბჭოს მხარდაჭერით საერთაშორისო სამიტი გაიმართება, რომლის მთავარი თემა აღმოსავლეთ ევროპაში ფეხბურთის მასობრიობის ზრდაა.




სამიტში, რომელიც ამ ფორმატით პირველად ტარდება, უეფას წარმომადგენლები, საქართველოსა და აღმოსავლეთ ევროპის 13 ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტები და გენერალური მდივნები მიიღებენ მონაწილეობას.

თბილისს ასევე ესტუმრებიან მონაწილე ქვეყნების სპორტისა და განათლების მინისტრები. სამიტის მუშაობაში სპორტის საერთაშორისო ექსპერტები ჩაერთვებიან.

აღსანიშნავია, რომ საქართველო სამიტის მასპინძლად მას შემდეგ იქნა შერჩეული, რაც უეფამ ჩვენს ქვეყანაში განხორციელებული პროექტები და შედეგები გააანალიზა.

# ტიტე: „კარგი იქნებოდა, მესი ბრაზილიელი ყოფილიყო“

ბრაზილიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ტიტემ ლიონელ მესიზე ისაუბრა და თქვა, რომ მესის ერთადერთი ნაკლი ის არის, რომ ის ბრაზილიელი არ არის.



– როდესაც მესის თამაშს ვუყურებ, ყოველთვის აღფრთოვანებული ვარ ხოლმე. მას საოცარი ნიჭი და ალღო აქვს და ისეთ რამეებს აკეთებს, რაც სხვა ფეხბურთელებს აზრადაც არ მოუვათ. კარგი იქნებოდა, ის ბრაზილიელი ყოფილიყო, – განაცხადა ტიტემ.

ტიტემ კრიშტიანო რონალდუზეც ისაუბრა და თქვა, რომ პორტუგალიელი უდიდესი ფეხბურთელია, თუმცა მას მესის თამაშის სტილი უფრო დიდ სიამოვნებას ანიჭებს.

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*

# ბარსელონის ორი ანტირეკორდი

ბარსელონა ესპანეთის ჩემპიონატის 23-ე ტურში ლეგანესთან დაპირისპირებაში მოედანზე მხოლოდ ერთი ესპანელი ფეხბურთელით გამოვიდა – ძირითად შემადგენლობაში მხოლოდ სერხი რობერტო მოხვდა.



აღსანიშნავია, რომ კლუბი ლა ლიგის ისტორიაში პირველად გამოვიდა მოედანზე მხოლოდ ერთი ესპანელი მოთამაშით.

ლეგანესთან მატჩში სხვა ანტირეკორდიც დაფიქსირდა – შეხვედრას 63.378 გულშემატკივარი დაესწრო. ეს კი ყველაზე ცუდი მაჩვენებელია ბარსელონისთვის ლა ლიგის მიმდინარე სეზონში.

*მოამზადა მიხეილ ქორქოლიანმა*

## შედეგები

**20 თებერვალი**

**ფეხბურთი**

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

ნიუკასლი-ასტონ ვილა .................. 2:0

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

მალაგა-ლას პალმასი .................... 2:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.რეალი | 21 | 16 | 4 | 1 | 56-18 | 52 |
| 2.ბარსელონა | 23 | 15 | 6 | 2 | 63-19 | 51 |
| 3.სევილია | 23 | 15 | 4 | 4 | 46-28 | 49 |
| 4.ატლეტიკო | 23 | 13 | 6 | 4 | 43-19 | 45 |
| 5.სოსიედადი | 23 | 13 | 2 | 8 | 36-32 | 41 |
| 6.ვილიარეალი | 23 | 10 | 9 | 4 | 30-15 | 39 |
| 7.ეიბარი | 23 | 10 | 5 | 8 | 36-31 | 35 |
| 8.ბილბაო | 23 | 10 | 5 | 8 | 28-28 | 35 |
| 9.სელტა | 22 | 10 | 3 | 9 | 36-36 | 33 |
| 10.ესპანიოლი | 23 | 8 | 8 | 7 | 30-31 | 32 |
| 11.ალავესი | 23 | 7 | 9 | 7 | 22-28 | 30 |
| 12.ლას პალმასი | 23 | 7 | 7 | 9 | 32-35 | 28 |
| 13.მალაგა | 23 | 6 | 8 | 9 | 31-37 | 26 |
| 14.ბეტისი | 22 | 6 | 6 | 10 | 22-35 | 24 |
| 15.ვალენსია | 22 | 6 | 5 | 11 | 31-40 | 23 |
| 16.დეპორტივო | 22 | 4 | 7 | 11 | 26-35 | 19 |
| 17.ლეგანესი | 23 | 4 | 6 | 13 | 16-39 | 18 |
| 18.ხიხონი | 23 | 4 | 4 | 15 | 25-47 | 16 |
| 19.გრანადა | 23 | 3 | 7 | 13 | 21-49 | 16 |
| 20.ოსასუნა | 23 | 1 | 7 | 15 | 24-52 | 10 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

მიუნხენ 1860-ნიურნბერგი ............ 2:0

**იტალია. სერია ბ**

ვერონა-სპალი ................................ 0:0

**საფრანგეთი. მე-2 ლიგა**

ორლეანი-ლანსი ............................ 2:1

**პორტუგალია. პრიმეირა ლიგა**

მარიტიმუ-ნასიონალი .................. 0:0

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

ლარისა-ლევადიაკოსი .................. 2:1

**თურქეთი. სუპერლიგა**

ტრაბზონი-ალანია ........................ 0:0

**ჩეხეთი. სინოტ ლიგა**

ლიბერეცი-ზლინი .......................... 0:0

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

ზაგლებიე-არკა .............................. 1:0

**დანია. სუპერლიგა**

ოდენსე-რანდერსი ........................ 3:0

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6

☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი





# რისი ნიშანია ცხვირით სუნთქვის გაძნელება

ეკა ირემაშვილი

ცხვირით სუნთქვის გაძნელება ერთ-ერთი საყურადღებო სიმპტომია ადამიანის ჯანმრთელობის საკითხში.
რა გართულებები შეიძლება გამოიწვიოს ცხვირით სუნთქვამ, როგორია პირველადი სიმპტომები და როდის უნდა მივმართოთ სპეციალისტს? – ამ თემებზე „ახალ თაობას“ ოტორინოლარინგოლოგი გოჩა მხეიძე ესაუბრა.



**გოჩა მხეიძე:**

– ადამიანმა, წესით, ფიზიოლოგიურად უნდა ისუნთქოს ცხვირით. 5 წლის ასაკიდან დაწყებული 70 წლამდე ადამიანს რომ უჭირს სუნთქვა ცხვირიდან და სუნთქავს პირით, ეს სერიოზული პრობლემაა. მან აუცილებლად უნდა მიმართოს ექიმს.

ეს ძალიან ცუდ გავლენას ახდენს ადამიანზე – მას უფუჭდება მეხსიერება. ბავშვი, რომელიც სკოლაში დადის და უნდა ისწავლოს და განვითარდეს, ამ დროს ის კარგად ცხვირით ვერ სუნთქავს, დამახსოვრების უნარი არ აქვს სათანადო, ეს სამომავლოდ დიდ პრობლემად გადაიქცევა. ასეთი ადამიანი პროფესიასაც ვერ აითვისებს.

***– რისგან შეიძლება სუნთქვა გაძნელდეს?***

– რის გამოა, ეს წინასწარ არავინ იცის. ასეთ დროს აუცილებელია სპეციალისტთან ვიზიტი, რომ მან დეტალურად შეისწავლოს პაციენტის მდგომარეობა, დაუსვას დიაგნოზი და დაუნიშნოს სწორი მკურნალობა.

ასეთ დროს კეთდება რინოსკოპია, თუ რაიმე გაუგებარია, მაშინ მიკროსკოპით ვუყურებთ ცხვირში, თუ კიდევ ჩნდება კითხვები, მაშინ ენდოსკოპით შევდივართ და ვათვალიერებთ. მთელი ეს ზონა, დაწყებული ძგიდიდან, დამთავრებული ცხვირ-ხახამდე, არის პრობლემატური. შეიძლება 20 წლის ადამიანსაც ჰქონდეს ადენოიდები, გაუკეთო ძგიდე და ადენოიდები არ ნახო, გგონია, რომ აღარ აქვს, არადა ეს პრობლემაა. ამიტომ პაციენტი რამდენჯერმე კარგად უნდა დაათვალიერო, შეაფასო მდგომარეობა და მხოლოდ შემდეგ გადაწყვიტო, რით დაეხმარო, მედიკამენტოზური მკურნალობით თუ ქირურგიული ჩარევით.

***– რა პრობლემებია, თუ ძგიდე გამრუდებულია?***

– თუ ძგიდე გამრუდებულია, შეიძლება უმნიშვნელო გამრუდება ჰქონდეს პაციენტს, მაგრამ პატარა გასწორებით კარგი შედეგი მივიღოთ. შეიძლება პაციენტს ვიზუალურად მაგრად ჰქონდეს ძგიდე გამრუდებული, მაგრამ თქვას, რომ სუნთქავს კარგად და არავითარი პრობლემა არ აქვს. მაშინ ასეთ პაციენტს არც უნდა მოჰკიდო ხელი, დაანებო თავი და იყოს ის, რაც არის.

ძგიდის გარდა, შეიძლება პაციენტს ნიჟარების ჰიპერტროფია ჰქონდეს. წესით, უჯრედი არ უნდა იყოს, მაგრამ ხანდახან ხდება, რომ ჩნდება უჯრედი, ის ასქელებს და ანატომიურად კეტავს სუნთქვით გზას. ასეთ დროს ერთი კედლის ნაწილი უნდა ჩამოიღო, რომ გაათხელო, რათა ჰაერი გაატაროს. ნიჟარების ოპერაციებიც ძალიან ბევრნაირი კეთდება.

***– რას ნიშნავს სუნთქვის დროს კოლაფსი?***

– სუნთქვის დროს ადამიანს შეიძლება ჰქონდეს კოლაფსი, ანუ სუნთქვის დროს ფრთისებრი ხრტილები ქვევით ჩადიოდეს, ასეთ შემთხვევაში იქმნება ობსტრუქცია და ადამიანი ველარ სუნთქავს. ამ დროს უნდა მოხდეს რეკონსტრუქცია ღია მეთოდით, ხრტილები უნდა იქნას ამოღებული და ფრთისებრი ხრტილები უნდა იქნას ჩაკერებული, რომ კოლაფსი აღარ შეიქმნას. აქ არის უამრავი მომენტი, რაც აუცილებლად გასათვალისწინებელია. უამრავი გამოკვლევა არსებობს, რომელიც ზუსტად, ობიექტურად გეუბნება, სად არის პრობლემა. როცა პაციენტებს სხვადასხვა კვლევაზე ვუშვებთ, სამწუხაროდ, ჰგონიათ, რომ ექიმები წრეზე ვატრიალებთ. ეს სიმართლე არ არის. სპეციალისტი ამას მეტი სიზუსტისთვის აკეთებს, რომ კიდევ უფრო სწორად დასვას დიაგნოზი და მკურნალობაც ეფექტური იყოს.

***– შეიძლება სერიოზულმა გაციებამ ისე გაართულოს სუნთქვა, რომ ეს გადავიდეს ქრონიკულ დაავადებაში?***

– რა თქმა უნდა. როცა ამ პროცესში ჩართულია სინუსები, წიაღები, როცა არის ჩირქდენა, ან სოკო ჩაჯდა, როცა ეს ყველაფერი ევაკუაციის დროს ცხვირის ღრუში გადმოდის, იწვევს ლორწოვანის შეშუპებას, პაციენტს სუნთქვა უჭირს. ამ დროს სინუსიტი უნდა აალაგო, მიხვდე რის გამოა, რატომ არის. მედიკამენტოზურად საწყის პოზიციაზე შეიძლება პრობლემა აალაგო, მაგრამ თუ ეს უკვე ქრონიკულია, შესაძლებელია მედიკამენტებით უკვე ველარ მოერიო, ამიტომ არის ენდოსკოპიური ოპერაციები, სადაც ეს პრობლემები გვარდება.

***– რა არის პოლიპოზი?***

– პოლიპოზი ეს არის ლორწოვანის შეშუპება, ამას თუ ემატება ანატომიური დარღვევები, ან პაციენტის მიერ მიღებული ტრავმა, მაშინ შეიძლება საქმე პოლიპოზამდე მივიდეს. პოლიპებით ივსება მთელი წიაღი და ცხვირის ღრუ. ამ დროს ქირურგიული ჩარევა გარდაუვალია, თუმცა გარანტიას მაინც ვერ ვაძლევთ, რომ ეს არ განმეორდება. ამიტომ ასეთი პაციენტი მუდმივად უნდა იყოს დაკვირვების ქვეშ, თუ პატარაზე წამოიზარდა პოლიპი, იქვე უნდა მოსცილდეს.

***– შეიძლება, ცხვირით სუნთქვის გაძნელება იყოს გენეტიკური?***

– რა თქმა უნდა, შეიძლება.

***– რას ურჩევთ მკითხველს?***

– ადრე, კომუნისტების დროს, რომელსაც ახლა ვაგინებთ, სავალდებულო იყო ყოველ 6 თვეში მოსწავლეებისთვის, სტუდენტებისთვის, მშრომელი ადამიანებისთვის სისხლის ანალიზის გაკეთება, იყო დისპანსერიზაცია, მიდიოდნენ, აშუქებდნენ, ფილტვებს ნახულობდნენ. ამოწმებდა ქირურგი, უროლოგი, გინეკოლოგი, ყელ-ყურის ექიმი და ეკითხებოდა, რამე ხომ არ გაწუხებთო. თუ ადამიანს რამე აწუხებდა, მაშინ უკვე უშუალოდ იმ დაავადების სპეციალისტთან გზავნიდნენ. ეს ისტორია იმიტომ მოვყევი, რომ გავაფრთხილო ყველა – თუ გაქვთ ჯანმრთელობის პრობლემა, ნუ გადადებთ და ნუ იფიქრებთ, რომ გაგივლით. არანაირი დაავადება თავისით არ გაგივლით, პირიქით, უფრო გართულდება და მერე მკურნალობაც ხანგრძლივი იქნება.

ვურჩევ ყველას, პოლიკლინიკაში მაინც მივიდნენ ექიმთან, რომ გაარკვიონ, რა სჭირთ. თუ ის ექიმი არ დააკმაყოფილებთ, ვერ დაუსვამს დიაგნოზს და ვერ ეტყვის, რა სჭირთ, მაშინ უნდა მივიდნენ სპეციალიზირებულ კლინიკაში და საფუძვლიანად გამოიკვლიონ. ეს არის ყველაზე კარგი რჩევა, რადგან არის რაღაცები, რისი გადადებაც არაფრით არ შეიძლება.

# ჰიტლერის წითელი ტელეფონი აუქციონზე 243 ათას დოლარად გაიყიდა



ადოლფ ჰიტლერის პირადი ტელეფონი აუქციონზე გასაყიდად იქნა გამოტანილი ამ ინფორმაციას აუქციონის სახლის წარმომადგენელ ბილ პანაგოპულოსზე დაყრდნობით ასოშეიტედ პრესი ავრცელებს.

მისი თქმით, ლოტის სასტარტო ღირებულება 100 ათასი დოლარი იყო და ვარაუდობდნენ, რომ ის 200-300 ათასი დოლარის ფარგლებში გაიყიდებოდა.

პანაგოპულოსმა ასევე განაცხადა, რომ ტელეფონს აღიქვამს, როგორც „მასობრივი განადგურების იარაღს“, ვინაიდან ჰიტლერი მისი დახმარებით გასცემდა ბრძანებებს, რომლებმაც უამრავი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. აუქციონის სახლის წარმომადგენელმა იმედი გამოთქვა, რომ ტელეფონის აპარატს, რომელიმე მუზეუმი გამოისყიდის, რათა ხალხი მისი ნახვის დროს დაფიქრდეს, თუ როგორი შედეგების მომტანი შეიძლება გახდეს ფაშიზმი. საბოლოოდ აუქციონი ამერიკის მერილენდის შტატის ქალაქ ჩესალიკ-სიტიში მოეწყო და ლოტი 243 ათას დოლარად გაიყიდა. მყიდველის ვინაობა უცნობია.

ტელეფონი ბერლინში ადოლფ ჰიტლერის ბუნკერში იდგა და მისით მეორე მსოფლიო ომის ბოლო ორი წლის მანძილზე სარგებლობდა. ის შავი ბაკელიტისგანაა დამზადებული და წითელი საღებავითაა შეღებილი. მასზე განთავსებულია ფაშისტური სვასტიკა და ჰიტლერის სახელი. 1945 წლის მაისში ფაშისტური გერმანიის კაპიტულაციის და ჰიტლერის თვითმკვლელობის შემდეგ, საბჭოთა სამხედროებმა ტელეფონის აპარატი ბრიტანელ კავშირგაბმულობის ოფიცერ რალფ რეინერს აჩუქეს. 1977 წელს, მისი გარდაცვალების შემდეგ კი, ის მემკვიდრეობით მის შვილს ერგო.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# პარიზელს წიგნის ქუჩაში დატოვებისთვის გამოწერილი ჯარიმა აპატიეს

საფრანგეთის დედაქალაქ პარიზში ქალი 68 ევროთი ქუჩაში წიგნის დატოვების გამო დააჯარიმეს. თუმცა, მას შემდეგ, რაც მან ამის თაობაზე სოციალურ ქსელში დაწერა, ჯარიმა გააუქმეს. ამ ინფორმაციას ფრანგული რადიო ავრცელებს.

გვინელმა (სრული ვინაობა უცნობია) გაცვლის მიზნით წაკითხული ტომი წიგნის მაღაზიის ვიტრინის მახლობლად დატოვა, ვინაიდან შიგნით შესაბამისი თარო ვერ აღმოაჩინა. ქალს ადრეც გადაუცია სხვებისთვის წაკითხული გამოცემები, თუმცა ამჯერად ის პოლიციამ დააკავა.

პარიზელ ქალბატონს საზოგადოებრივ ადგილას ნაგვის დაყრისთვის ჯარიმა გამოუწერეს. აღსანიშნავია, რომ პარიზში ასეთივე ჯარიმით ისჯება ქუჩაში სიგარეტის ნამწვავის დაგდება.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, გვინელმა მომხდარის თაობაზე სოციალურ ქსელებში დაწერა. მას შემდეგ, რაც მომხდარს ყურადღება მას მედიამ მიაპყრო, ადგილობრივმა ხელისუფლებამ მიღებული გადაწყვეტილება გააუქმა და მას უბრალოდ შეცდომა უწოდა.

# რუსი მილიარდერის იახტა დააპატიმრეს



მას მედიაში გავრცელდა ინფორმაცია რუსი მილიარდერის ანდრეი მელნიჩენკოს მსოფლიოში ყველაზე დიდი აფრიანი იახტის „ა-ს“ გიბრალტარში დაპატიმრების თაობაზე.

ამის მიზეზი კი გახდა გემთმშენებელი კომპანიის პრეტენზია შემკვეთის მიმართ, რომელმაც, კომპანიის ცნობით, დათქმულ ვადაში არ გადაურიცხა უკანასკნელი ტრანში 9,8 მილიონი ევროს ოდენობით. აღსანიშნავია, რომ პრეტენზიაში თვითღირებულებასთან ერთად სარჩელში 15,3 მილიონია მითითებული.

# ასტროპროგნოზი

## 22 თებერვლისთვის



**ვერძი** – დაისვენეთ. შესაფერისი დღეა ფიზიკური დატვირთვისა და სპორტისთვის. **კურო** – დღეს მხოლოდ საკუთარი თავის იმედი იქონიეთ. იოლად ნურავის მიენდობით. ცრუ დაპირებების გაცემისაგან თავი შეიკავეთ. **ტყუპები** – მიენდეთ პარტნიორების რჩევებს. საჭიროების შემთხვევაში დახმარებისათვის ახლო ნათესავებს მიმართეთ. **კირჩხიბი** – ნუ იაქტიურებთ და სპონტანურ გადაწყვეტილებებს ნუ მიიღებთ. ცდუნებას არ აჰყვეთ. **ლომი** – წინააღმდეგობრივი დღეა. ნებისმიერი გადაწყვეტილება საგულდაგულო გადამოწმების შემდეგ მიიღეთ. **ქალწული** – საყიდლებზე წასვლას ნუ იჩქარებთ. უმჯობესია, თუ ჯერ დაწყებულ საქმეს დაამთავრებთ. **სასწორი** – ინტუიცია გიმახვილდებათ. შინაგან ხმას მოუსმინეთ და სპონტანურად ნუ იმოქმედებთ. **ღრიანკალი** – დისციპლინირებულობა, მოთმინება და თავშეკავება დღის დევიზია. ნუ იქნებით ზედმეტად თავდაჯერებული. **მშვილდოსანი** – აქტიური, ნაყოფიერი დღეა. ნებისმიერი პრობლემა დაუყოვნებელ მოგვარებას მოითხოვს. იყავით გონიერი და წინდახედული. **თხის რქა** – ყველა უსიამოვნება დავიწყებას მიეცემა. ფორტუნა გიღიმით. განსაკუთრებით უმართლებთ შემოქმედებით სფეროში მომუშავე ადამიანებს. **მერწყული** – ნუ იაქტიურებთ და ნუ იჯიუტებთ. მოულოდნელი ინფორმაცია გეგმებს შეგიცვლით. **თევზები** – დღის პირველ ნახევარში ერიდეთ საქმიან შეხვედრებს. ემოციური ფონი ძალზე მაღალია, რაც სწორი დასკვნების გამოტანაში ხელს შეგიშლით.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# კროსვორდი ბ

**შვეულად:** 2. საქართველოში გავრცელებული წითელყურძნოვანი ვაზის ამერიკული ჯიში; 3. თავისუფალი, საწვრთნელი ბრძოლა კრივში; 4. საკონცენტრაციო ბანაკი პოლონეთში ფაშისტური ოკუპაციის დროს; 5. ზღვის ფრინველი; 6. ფრანგი კინოვარსკვლავი ქალი; 8. ფეხსაცმლის მკერავი ძველად; 11. ლუდხანის ოფიციანტი გერმანიაში; 14. დამკაბადონებელი ოსტატი სტამბაში; 15. კარსტული მღვიმე იმერეთში; 16. ქალის არაძვირფასი სამკაულები; 17. სათბურში გამოყვანილი მცენარის ნერგი; 19. რბილი, გლუვი ხაოს მქონე აბრეშუმის მკვრივი ქსოვილი; 21. ბრაზილიური ცეკვა; 22. ავსტრალიური ჩანთოსანი დათვი.

**თარაზულად**: 1. სიცოცხლის გავრცელების არე დედამიწაზე; 5. ებრაული ბიბლიის სახელწოდება; 7. მდინარე სამეგრელოში; 9. ქართველი მხატვარი ქალი; 10. ფრანგი მათემატიკოსი, ფილოსოფოსი; 12. რაიმეს შესწავლა მისი ნაწილებად დაშლის გზით; 13. დიდი წარმატება, ბრწყინვალე გამარჯვება; 16. ჩრდილო ამერიკაში გავრცელებული დათვი; 17. გამხმარი ხილი; 18. სოხუმის ძველი სახელწოდება; 20. ლითონზე ან ხეზე შესრულებული ნახატი; 22. იარაღის მწარმოებელი ამერიკული ფირმა; 23. ზოგიერთი სასურსათო საქონლის საერთო სახელწოდება; 24. ვირტუოზული პასაჟი სიმღერაში; 25. მსხვილი ფინანსური და სავაჭრო გარიგებების ადგილი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*



## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. მაჰარაჯა; 2. ოტიატრი; 3. ომანი; 4. ჰოკაიდო; 5. პუშკინი; 10. მარტვილი; 11. მასპინძელი; 12. ჰიბრიდი; 15. დიოსკურია; 16. „არიანი“; 17. ვიმპელი; 20. პრუსი.

**თარაზულად:** 6. სანატორიუმი; 7. გოლეული; 8. საიგაკი; 9. დაგერი; 13. წიდა; 14. ყარაია; 18. ტრიკოტაჟი; 19. კილტი; 21. ურეკი; 22. დიზელი; 23. ნინოშვილი; 24. აპატრიდი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 2. იღუმენი; 3. ტიტიკაკა; 4. ინტელექტი; 5. ჭერხო; 6. „ამლახუ“; 8. ქვევრი; 11. ნოვაცია; 14. ობსკურანტი; 15. „გაგრიფში“; 16. ესკადრონი; 17. „დარიკო“; 19. როლექსი; 21. „ჩელსი“; 22. სენტო.

**თარაზულად:** 1. კინტრიში; 5. ჭონა; 7. წიქარა; 9. კულტივატორი; 10. ლენტეხი; 12. „ჩხავერი“; 13. სექტორი; 16. ეპიგრაფი; 17. დუყი; 18. „არიბა“; 20. შტურმანი; 22. სუფსა; 23. ჰერაკლე; 24. ოხუნჯი; 25. „სანტე“.

# ლევან ჯიბლაშვილი დაინიშნა



მსახიობი ლევან ჯიბლაშვილი სხვადასხვა გამოკითხვაში ყოველთვის ხვდებოდა ყველაზე სასურველი სასიძოების ათეულში და თანაც — წამყვან პოზიციაზე. როგორც გაირკვა, მისი გული დაკავებულია. მსახიობი დაინიშნა. ყველაზე მდიდარი ქართველი ხელოვანის რჩეული ნინიკო ნაცარიშვილია. ნიშნობის დამადასტურებელი ფოტოები ინტერნეტით გავრცელდა. ლევანმა და ნინიკომ უამრავი კეთილი სურვილი, მილოცვა და დადებითი კომენტარები დაიმსახურეს.

— არ ვიცი და ვერ ვხვდები, საიდან დავიწყო, სიტყვებს თავი როგორ მოვუყარო... მადლობა, რომ არსებობ! მიყვარხარ! — ასე აფასებს მსახიობის გრძნობას მისი რჩეული ნინიკო ნაცარიშვილი.

ლევან ჯიბლაშვილი ფართო საზოგადოებამ სერიალ „დეტექტივებიდან“ გაიცნო. მან ბიზნესში წასვლა გადაწყვიტა და ბავშვთა გასართობი ცენტრების ქსელი ნევერ ლენდი და რესტორნების ქსელი ჩაიხანა ჩამოაყალიბა.

მსახიობმა თავის რჩეულს ხელი მისსავე დაბადების დღეზე სთხოვა. ლევანი და ნინიკო რამდენიმე თვეა, ერთად არიან. მათი ურთიერთობა ბათუმში დაიწყო და თბილისშიც გაგრძელდა. როგორც ჩანს, ორივე მივიდა იმ დასკვნამდე, რომ დროა, შეყვარებულობანას პერიოდი დაასრულონ და ურთიერთობას უფრო სერიოზული სახე მისცენ, ამიტომაც წყვილი დაინიშნა, რასაც შეყვარებულები უახლოეს მომავალში ქორწილით დააგვირგვინებენ.

# ათეშგა ეროვნული მნიშვნელობის ძეგლია



ძველ თბილისში მდებარე ერთ-ერთ უძველეს საკულტო ნაგებობას ათეშგას კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ინიციატივითა და საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, ეროვნული მნიშვნელობის კატეგორია განესაზღვრა.

კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი თბილისის ერთ-ერთი უძველესი საკულტო ნაგებობაა. იგი კალას უბნის ზედა ნაწილში, ნარიყალას ციხის ქვეშ, გომის 3 ნომერში მდებარეობს. ათეშგა საქართველოში ცეცხლთაყვანისმცემელთა ერთადერთი შემორჩენილი ჩარდახი-ტაძარია.

კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ინიციატივითა და მთავრობის გადაწყვეტილებით, 21 თებერვალს ათეშგას ეროვნული კატეგორიის ძეგლის სტატუსი ხელახლა განესაზღვრა.

ათეშგასთან დაკავშირებით ხმაური მას შემდეგ დაიწყო, რაც გასული წლის ნოემბერში ცნობილი გახდა, რომ ძეგლის თავზე რესტორნის დაშენებას აპირებდნენ.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

# ჩინელმა პენსიონერმა სქესი შეიცვალა

ჩინეთის დედაქალაქ პეკინის მცხოვრებმა 72 წლის ასაკში გადაწყვიტა, სქესი შეეცვალა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემა ავრცელებს.

პენსიონერს ოპერაცია გუანდუნის პროვინციის ქალაქ ხოიჩჟოუს საოლქო საავადმყოფოში გაუკეთდა და ის რამდენიმე საათი გრძელდებოდა. სინ იუემ მკერდის გადიდებისა და მამაკაცური ორგანოს ქალურად ტრანსფორმირების ოპერაცია გადაიტანა.

აღსანიშნავია, რომ ქირურგიულ ჩარევამდე იუემ უამრავი სამედიცინო ტესტი გაიარა და ათასზე მეტ შეკითხვას უპასუხა.

ჩინელი 1970 წლიდან 2000 წლამდე დაქორწინებული იყო და ჰყავს ქალიშვილი. პენსიონერის ყოფილმა მეუღლემ ლენ ჟუიმ იუეს სრული მხარდაჭერა გამოუცხადა და საავადმყოფოშიც მის გვერდით იმყოფებოდა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## სამგლოვიარო განცხადებები

ოჯახი, ნათესავები, მეგობრები, თანამშრომლები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ბელა ბედმანიკაშვილი-მშვილდაძისა**

პანაშვიდი: 21, 22 თებერვალს, 17 საათზე.
დაკრძალვა: 23 თებერვალს, 14 საათზე.
მისამართი: ქ.თბილისი, აგლაძის ქ. №34, III კორპუსი, III სადარბაზო.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# მურმან ჯინორია 70 წლისაა



რუსთაველის თეატრის მსახიობი მურმან ჯინორია იუბილარია. მას მრგვალი თარიღი — 70 წელი შეუსრულდა.

თეატრისა და კინოს მსახიობს დაბადების დღეების გრანდიოზულად აღნიშვნა არ ხიბლავს. მისი მთელი ცხოვრება დაკავშირებულია ქართულ კულტურასთან — თეატრთან და კინოსთან. მის მიერ ნათამაშევი როლი ტელესპექტაკლში „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს“ მსახიობისთვის სავიზიტო ბარათად იქცა.

თეატრალური ინსტიტუტის დასრულების შემდეგ, ხანმოკლე დროის განმავლობაში, კინომსახიობთა თეატრში მუშაობდა. უკვე 34 წელიწადია, რუსთაველის თეატრის მსახიობია. კოტე მახარაძის მიერ ფიქრის გორაზე დაარსებულ ერთი მსახიობის თეატრში „ვერიკო“ მურმან ჯინორიამ დადგა რამდენიმე სპექტაკლი, რომელთა რეჟისორიც, მუსიკალური გამფორმებელიც, მხატვარიცა და მთავარი როლის შემსრულებელიც თავად იყო.

ამჟამად რუსთაველის თეატრის რეპერტუარშია მის მიერ დადგმული მონოსპექტაკლი „ქარი მწყურია მე პირდაპირი“. სპექტაკლი ექსპერიმენტულ სცენაზე თამაშდება და ის ოთხი პირობითი ნაწილისგან, წელიწადის დროთაგან შედგება. ყველა მათგანში შესულია ქართული ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშები. ყოველი სეზონი ასოცირდება სხვადასხვა ხასიათისა და სტილის ავტორების შემოქმედებასთან, გაზაფხული — ტერენტი გრანელთან, ზაფხული — გურამ რჩეულიშვილთან, შემოდგომა მისთვის ჩვეული სიჭრელით აერთიანებს ტატო ბარათაშვილის, ილია ჭავჭავაძის, ტიციან ტაბიძის, ლადო ასათიანის, მუხრან მაჭავარიანის, მურმან ლებანიძის, შოთა ნიშნიანიძის, მორის ფოცხიშვილისა და ჯანსუღ ჩარკვიანის შემოქმედებას, ზამთარი კი მსახიობისთვის გალაკტიონ ტაბიძესთან ასოცირდება.

— ამ სპექტაკლით მინდა, ჩვენი ახალგაზრდობა მივუახლოვო ქართულ გენეტიკურ მახსოვრობას, — ამბობს იუბილარი მურმან ჯინორია.

# დავით ფოცხიშვილი: „მორიგი ქორეოგრაფიული კრიმინალი!“



ანსამბლ „მეტეხის“ ერთ-ერთი წევრი და ქორეოგრაფი დავით ფოცხიშვილი მორიგ ქორეოგრაფიულ კრიმინალთან დაკავშირებით ავრცელებს ინფორმაციასა და ვიდეოჩანაწერს, თანაც შესაბამის უწყებებს მოუწოდებს, სათანადოდ დაიცვან ქართული კულტურა.

**დავით ფოცხიშვილი:**

— მორიგი ქორეოგრაფიული კრიმინალი! შემთხვევით წავაწყდი ინტერნეტში.

თითქმის ყველაფერი ქართულია... ნუ დაგავიწყდებათ, ეს კონცერტი ტარდება „ბრუსელში“ ერთ-ერთ პრესტიჟულ დარბაზში და ნახეთ, რამხელა აუდიტორია ესწრება! ფარცაკუკუზე და ჯუმბერას ფოხანზე კი არ უნდა ვიდავოთ, აი, ეს არის ქართველების XXI საუკუნის საბრძოლო თემა.... ჯერ იყო, სომხებმა „დაისი“ სომხურიაო და ახლა, აი, კიდევ ახალი პრობლემა...

მალე ქართული ცეკვა აღარ იქნება მიმზიდველი მსოფლიოსთვის, ისე გააფარჩაკეს და მიწასთან გაასწორეს... ეს არ არის კარგი ფაქტი, ხალხო!

საუკუნის შემდეგ ძალიან სადავო თემა იქნება ქართული ცეკვა...

რაღაც განყოფილება უნდა შეიქმნას კულტურის სამინისტროში, სადაც პირდაპირ წავა ბრძოლა ამდაგვარი კრიმინალის წინააღმდეგ....

უყურეთ და გულთან ნუ მიიტანთ!

# ეროვნულ ბიბლიოთეკას უმნიშვნელოვანესი არქივი გადაეცა



საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკას უმნიშვნელოვანესი არქივი გადაეცა.

სალომე და ოთარ ზურაბიშვილებმა მამის, ლევან ზურაბიშვილის უმდიდრესი კოლექცია ბიბლიოთეკის დირექტორ გიორგი კეკელიძეს გადასცეს და ევროპიდან საქართველოში გამოატანეს.

კოლექციაში გაერთიანებულია ასობით უნიკალური გამოცემა, მათ შორის, არაერთი ძველნაბეჭდი წიგნი, შარდენის პირველი გამოცემა, მარი ბროსეს მრავალტომეული, პარიზის ბალმონტისეული „ვეფხისტყაოსანი“ და „მოამბის“ წლიური კომპლექტები.

# დუბაის პოლიციამ რუს მოდელს პირობა ჩამოართვა

არაბთა გაერთიანებული საემიროების პოლიციამ რუს მოდელს, ვიქტორია ოდინცოვას, რომელმაც დუბაის ცათამბჯენის სახურავზე ექსტრემალურ ფოტოსესიაში მიიღო მონაწილეობა, პირობა ჩამოართვა, რომ საკუთარი სიცოცხლით აღარ გარისკავდა.

დუბაის პოლიციის უფროსის მოადგილის ჰალილ იბრაჰიმ ალ-მანსურის თქმით, 23 წლის ოდინცოვა სამართალდამცველ ორგანოებში გამოიძახეს, რათა მას ხელი მოეწერა ქაღალდისთვის, რომლითაც ის პირობას დებდა, რომ აღარ გადადგამდა რაიმე სახის სახიფათო ნაბიჯებს, რომელთაც შეეძლოთ დუბაიში მისი სიცოცხლისთვის საფრთხე შეექმნათ.



— ის რაც ამ ახალგაზრდა რუსმა გოგონამ გააკეთა, სახიფათოა მისი სიცოცხლისთვის, — განაცხადა ალ-მანსურიმ, რომელმაც აღნიშნა, რომ ემირატების მცხოვრებლები ექსტრიმით არ უნდა იყვნენ დაკავებულები ისე, რომ არ ჰქონდეთ მიღებული უსაფრთხოების ზომები და ხელისუფლებისგან არ ჰქონდეთ მიღებული ნებართვა.

რუსმა მოდელმა ინტერნეტ-მომხმარებლების ყურადღება მას შემდეგ მიიპყრო, როდესაც ინსტაგრამში საკუთარ აკაუნტში გამოაქვეყნა დუბაის ცათამბჯენის სახურავზე გამართული ექსტრემალური ფოტოსესიის ამსახველი ვიდეო ჩანაწერი.

გამოქვეყნების მომენტიდან ვიდეორგოლმა 500 ათასზე მეტი ნახვა მოაგროვა. ამასთან ზოგიერთმა ინტერნეტ-მომხმარებელმა გოგონა უაზრო რისკის გამო გააკრიტიკა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## პროგრამა

ოთხშაბათი
22 თებერვალი

07.00 დოკ/ფ "ორი გაუმაძღარი იტალიელი" 08.00 ანიმაცია. "ჯიმი ნიუტრონი-გენიოსი ბიჭუნა" 09.00 "მოამბე დილას" 10.00, 12.00, 16.00, 18.00, 20.00 "მოამბე" 10.10 "პირადი ექიმი" 11.00, 19.00 ტ/სერ. "**ძველი ხიდის საიდუმლო**" 12.30 "სპორტის დაფა" 12.45 "კაცების დრო" 13.45 "ტელემანი" 14.00 "ფერმა" 14.30 "დღე მუზეუმში" 15.00, 03.50 "X სტუდია" 16.45 "ეკონომეტრი" 17.00 "რეალური სივრცე" 21.00 ტ/სერ. "**ველვეტი**" 22.00 "მთავარი" - თამარ ჩიქოვანთან ერთად 23.00 ჩემპიონთა ლიგის წინასამატჩო 23.40 **ფეხბურთი**. ჩემპიონთა ლიგის 1/8 ფინალური მატჩი 01.40 მხ/ფ "**ტოპაზი**"

08.00 დ/ფ "ცხოველთა სილამაზე" 09.00 დ/ფ "კაპურის მიერ დანახული სამყარო" 10.00 "გეოფაქტორი" 10.20 დ/ფ "ბერლინი 1885 წელი იერიში აფრიკაზე" 12.00 საქართველოს პარლამენტის პლენარული სხდომა 19.00 "თავისუფალი ტრიბუნა" 20.00 "მოამბე" 21.00 "არგუმენტების დრო" 22.00 ტ/სერ. "**ჩიკაგოს პოლიცია**" 23.00 "ნამდვილი დრო" 23.45 **ფეხბურთი** – ჩემპიონთა ლიგის 1/8 ფინალური მატჩი

06.30, 14.40 სერ. "**ელიფი**" 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.25 ქრონიკა 07.35, 08.15, 08.35, 09.15 იმედის დილა 10.05 სერ. "**პატარძალი**" 11.20 სერ. "**ფიცი**" 12.30 დღის შოუ 17.35 სერ. "**სტამბოლის ორი სახე**" 3 სერ. 18.45, 19.03 სერ. "**მოპარული ცხოვრება**" 20.55 სერ. "**ნამსხვრევები**" 22.00 ეკა ხოფერიას თოქ შოუ 23.30 სერ. "**იმედის ქარი**" 3 სერ. 00.45 მხ/ფ "**უცნობი სიყვარული**" 02.40 მხ/ფ "**სასიკვდილო დარტყმა**" 04.10 მხ/ფ "**სიყვარულის ისტორია**"

06.00, 18.50, 20.03 სერ. "**ოქროს გალია**" 06.45, 20.10 სერ. "**დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა**" 07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15 დილამშვიდობისა საქართველო 07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 10.15 სერ. "**დინასტია**" 12.30 "სხვა შუა დღე" 13.55 სერ. "**ცხოვრების გზები**" 15.55 სერ. "**ინდური საგა**" 22.00 ნანუკას შოუ 23.30 გააცინე და მოიგე სერ. "**დროში დაკარგული**"

08.00 ან/სერ. "ატომი" 09.00, 19.00 სერ. "**დოქტორი ჰაუსი**" 11.00 სერ. "**მშობლები**", სეზონი 3 სერია 02,03 13.00 სერ. "**ჩიკაგოს მეხანძრეები**" 15.00 მხ/ფ "**აუტანელი ბოსები**" 17.00 სერ. "**სასოწარკვეთილი დიასახლისები**" 21.00 საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები 22.00 მხ/ფ "**ბლეიდი 3**" 00.00 მხ/ფ "**შემოჭრა**" 01.50 მხ/ფ "**გრძნობით შეპყრობილნი**" 03.45 მხ/ფ "**შიშის ღამე**"

06.15 დროის ჩანაწერები 07.00 მართლმადიდებლური კატეხიზმო 07.30 ჩვენი ფონდი 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 განთიადი" 10.10, 19.00, 22.00, 00.05 სიახლენი 10.30 დ/ფ "აღდგომა თებერვალში-წმინდა გაბრიელი" 11.20 ბიბლია ბავშვებისათვის 11.30 მგზავრები წუთისოფლისა 12.10 ღია აუდიტორია 13.00 ერთიანი მშვიდობიანი კავკასია 13.30 "შუადღე ერთსულოვნებაზე" 14.30 თბილისის ტაძრები "მეტეხის ტაძარი" 15.00 საეკლესიო კალენდარი 15.10 ქართული ან/ფ 15.30 დ/ფ "ბორჯომ-ხარაგაულის ტყე პარკი" 15.45 კონცერტი 16.30 დ/ფ "სამთავროს დედათა მონასტერი" 17.30 ძველი აღთქმის წინასწარმეტყველები 18.10 "განთიადის" სტუმარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 დროის ჩანაწერები "მარადისობის სივრცე" 20.40 ძილი ნებისა "ჩიპი და დეილი" 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.20 ღვთის სახლი 21.35 ეპოქის სახელები 22.25 ქართული ალბომი 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 საუბარი მოძღვართან 23.35 ქვიშით ნაამბობი 00.25 ისტორიის დღიური 01.00 სათავეებთან "ნიკო ნიკოლაძე" 01.30 "შუადღე ერთსულოვნებაზე" (გამეორება)

მაესტრო 7.00 "კონტაქტი" 7.30 ანიმაცია "მაშა და დათვი" 7.50 "ქვიშის ზღაპარი" 8.00 სერ. "**კარმელიტა ბოშური ვნება**" 10.00, 2.00 სერ. "**ორი გული**" 11.00 სერ. "**სიყვარულის იმპერია**" 12.00 "კონტაქტი თორმეტზე" 12.30, 0.30 "ბიზნეს კონტაქტი" 13.30 დისქავერი "ქალი,კაცი,ბუნება" 14.30, 15.30 სერ. "**თურქული ენა დამწყებთათვის**" 15.00 "კონტაქტი სამზე" 16.00 სერ. "**მარისა**" 18.00 "კონტაქტი ექვსზე" 18.50, 20.55 სერ. "**გაზაფხულზე იბადება სიყვარული**" 19.50 "დამზადებულია საქართველოში" 20.00 "კონტაქტი რვაზე" 21.55 სერ. "**პაემანი**" 22.45 სერ. "**მოკალი სტალინი**" 1.30 "კონტაქტი"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

**22 თებერვლისთვის**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.6386

ევრო — 2.8017

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.2872

100 რუსული რუბლი — 4.5439

## ამინდის პროგნოზი 22 თებერვლისთვის






## 21 თებერვლიდან
## ჩემი პირველი ქრესტომათია

წიგნში შეტანილია ქართული და მსოფლიოს საბავშვო ლიტერატურის კლასიკოსების უხვად ილუსტრირებული ნაწარმოებები.

მასში გათვალისწინებულია ასაკობრივი შესაძლებლობები, ინტერესები და მისწრაფებები. იგი დაეხმარება ბავშვს თვალსაწიერის გაფართოებაში.

**ფასი გაზეთთან ერთად 15 ლარი**



## 28 თებერვლიდან
## ჩემი პირველი პოეზიის ანთოლოგია

წიგნში შეტანილია მრავალფეროვანი ილუსტრაციებით დატვირთული 87 ქართველი პოეტის 293 საბავშვო ლექსი, რომლებიც დალაგებულია ასაკისა და თემატიკის მიხედვით. იგი დაეხმარება ბავშვს სიტყვათა მარაგის დაგროვებასა და აქტიურად გამოყენებაში.

**ფასი გაზეთთან ერთად 15 ლარი**

## სიუზან სარანდონმა საკუთარი თავი ბისექსუალად გამოაცხადა



მსახიობმა სიუზან სარანდონმა საკუთარ თავს ბისექსუალი უწოდა. 70 წლის ოსკაროსნის თქმით, ის გახსნილია ქალებთან ურთიერთობისთვის.

მსახიობი 1967 წლიდან 1979 წლის ჩათვლით ქორწინებაში იმყოფებოდა კრის სარანდონთან. 1980-იან წლებში ის რეჟისორ ფრანკო ამურის ხვდებოდა, რომლისგანაც მას გოგონა შეეძინა. სარანდონის კიდევ ერთი პარტნიორი იყო მსახიობი ტიმ რობინსი. მათ ორი შვილი ჰყავთ. წყვილი ერთმანეთს 2009 წელს დაშორდა.

მსახიობის თქმით, ის „სერიული მონიგამიური" ადამიანია და რომ მას დიდი სასიყვარულო ურთიერთობები არ აქვს.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

## სოლომონ კვერკველია კარიერას მოსკოვის ლოკომოტივში გააგრძელებს



სოლომონ კვერკველია თითქმის ოფიციალურად მოსკოვის ლოკომოტივის ფეხბურთელია.

ის მალე მოსკოვში ჩავა, სადაც სამედიცინო შემოწმებას გაივლის და შემდეგ უკვე კონტრაქტს მოაწერს ხელს.

კვერკველია ბოლო წლის განმავლობაში რუბინის ძირითად შემადგენლობაში იშვიათად თამაშობდა, რის გამოც მას ამ კლუბის დატოვება სურდა. იყო ვარიანტები, რომ ქართველი მცველი როსტოვში ან ცსკაში გადასულიყო, მაგრამ საბოლოოდ ლოკომოტივი დარჩა, რომელიც რუსეთის სატურნირო ცხრილის შუაში იმყოფება.

ლოკომოტივს ცნობილი რუსი სპეციალისტი იური სიომინი წვრთნის.

## შოთა არველაძეს, შესაძლოა, გლაზგო რეინჯერსმა დაუძახოს

შოთა არველაძე ამჟამად არცერთ გუნდს არ წვრთნის და მან რამდენიმე კლუბს უარი უთხრა.

ბრიტანულ პრესაში გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ არველაძეს, შესაძლოა, გლაზგო რეინჯერსმა დაუძახოს.



რეინჯერსში შოთას კარგად იცნობენ, რადგან ის რამდენიმე წლის განმავლობაში იცავდა ამ გუნდის ღირსებას და მის შემადგენლობაში ორჯერ გახდა შოტლანდიის ჩემპიონი.

რეინჯერსს ამჟამად მწვრთნელი არ ჰყავს და აქტიურ ძიებაშია.

შოთა არველაძეს ჯერჯერობით კომენტარი არ გაუკეთებია.

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*



## იუმორი

ორი მეგობარი საუბრობს. ერთი მეორეს ეუბნება:
— ბავშვობაში ვოცნებობდი, რომ გავზრდილიყავი დიდი და ჭკვიანი.
— მერე, აგისრულდა ოცნება?
— ნაწილობრივ... გავიზარდე.

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:
— დაძინებას ვერ ვახერხებ და რომ დამეძინოს, იმ ქალებს ვითვლი, რომლებთანაც დრო გამიტარებია.
— და მაგას ცხვრების დათვლა არ ჯობია?
— ცხვართან ერთხელ ვიყავი.

●●●

ბიჭი და გოგო ჩხუბობენ. გოგონა გაბრაზებული ეუბნება:
— მე შენი ცოლი არ ვარ, რაიმე რომ ამიკრძალო.
— გახდები?
— გავხდები!!!

●●●

— საიდან გაჩნდა პირველი ქალი?
— პირველი ქალიშვილისგან.

●●●

მოსამართლე განაჩენს კითხულობს:
— სახელმწიფო მოხელის სიტყვიერი შეურაცხყოფისთვის 200 ლარით გაჯარიმებთ. ბრალდებულო, რაიმეს თქმა ხომ არ გნებავთ?
— მინდოდა, მაგრამ, ისეთი ფასები გაქვთ, რომ...

●●●

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეუბნება:
— ეჭვი მაქვს, რომ მეუღლე მღალატობს.
— რა პრობლემაა, გინეკოლოგთან მიიყვანე.
— რა, იმას სია ექნება?

●●●

პანაშვიდზე მისულმა ნათესავმა ჭირისუფალს მიუსამძიმრა და მერე ეკითხება:
— ქელეხისთვის ღვინო იშოვეთ?
— კი, ნაშოვნი გვაქვს.
— პროდუქტების საქმე როგორ არის?
— ყველაფერი მოგვარებულია.
— სასახლის ამბავი?
— ეგეც.
— საფლავის ამბავი როგორ არის?
— ეგეც მოგვარებულია, კარგი ადგილი შევარჩიეთ.
— კაცო, ყველაფერი მოგიგვარებიათ და რაღა გატირებთ?

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*




მოიკითხეთ ყველაზე მრავალფეროვანი, საინტერესო და ხელმისაწვდომი ჟურნალ-გაზეთები პრესის გავრცელების სამსახურის სტელაჟებზე.




## 16 თებერვლიდან
## ვაჟა ფშაველა
## ქუდროვანი

**ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი**




## 17 თებერვლიდან
## გაბრიელ გარსია მარკესი
## ჩილეში არალეგალურად შეპარული მიგელ ლიტინის თავგადასავალი

**ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი**

## ვიქტორ ჰიუგო
# საბრალონი

| 23 თებერვლიდან ტომი I | 27 თებერვლიდან ტომი II | 2 მარტიდან ტომი III | 6 მარტიდან ტომი IV |
|---|---|---|---|
|  |  |  |  |
| ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი | ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი | ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი | ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი |

## კროსვორდი

**შვეულად**: 1. პლანეტა ვენერას ძველებური სახელწოდება; 2. სამთო-სათხილამურო კურორტი საქართველოში; 3. ჩინური ფინიკი; 4. სუპერმარკეტების ქსელის მფლობელი ფირმა საქართველოში; 5. ეგვიპტელი ქრისტიანები; 10. სასიმღერო ხმა მრავალხმიან ქართულ სიმღერაში; 11. დასავლეთ საქართველოში გავრცელებული შავყურძნოვანი ვაზის სუფრის ჯიში; 12. სამხედრო გემების დიდი შენაერთი; 15. წყლის საათი; 16. კუნთების კრუნჩხვითი შეკუმშვა; 17. პურეული მცენარე; 20. ყოველკვირეული ქართული ჟურნალი.

**თარაზულად**: 6. მონასტერი ბოლნისის რაიონში; 7. მდინარე ნიუ იორკში; 8. მუსლიმანთა რელიგიური დღესასწაული; 9. ბრიტანული ყველი; 13. ხელოვნების ერთ-ერთი ჟანრი; 14. რთული, დახლართული საქმე სასამართლო პრაქტიკაში; 18. საფოსტო გზავნილი; 19. აკვიატებული შიში; 21. მზის სისტემის პლანეტა; 22. საქარხნო ღუმლების მშენებლობაში გამოყენებული ცეცხლგამძლე აგური; 23. ღვინის დუქანი ძველ თბილისში; 24. ირანის ძველი სახელწოდება.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

